განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა
სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ტერენს კლიფორდ - ამოსი, საერთაშორისო უმაღლესი განათლების კონსულტანტი, გაერთიანებული სამეფო, ლილის კათოლიკური უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორი, საფრანგეთი, ევროკომისიის ვიცე - თავმჯდომარე.

წევრები:

მაგდა მემანიშვილი, ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი და ასოცირებული პროფესორი, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო.

ბექა ბენდელიანი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტუდენტი ექსპერტი, საქართველო.

სოფია ბაზაძე, ევროპული სკოლის დირექტორი, საქართველო.

თამარ ძველაია, ასისტენტ პროფესორი, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველო

ილია ბოცვაძე, ასოცირებული პროფესორი, შპს - ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

გაიოზ ფარცხალაძე, პროფესორი, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

თბილისი

2024

ავტორიზაციის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია 1932 წლის 7 თებერვალს იწყება, როდესაც საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით სოხუმში დაარსდა პედაგოგიური ინსტიტუტი. თავდაპირველად, სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტს ჰქონდა ორი აკადემიური დეპარტამენტი, რომელიც ძირითადად ამზადებდა პედაგოგიურ კადრებს. მომდევნო წლებში ინსტიტუტს დაემატა სხვა სპეციალობებიც და 1960 - იანი წლების დასაწყისისთვის პედაგოგიური ინსტიტუტი ჩამოყალიბდა როგორც წამყვანი საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრი, სადაც სასწავლო პროცესი ხორციელდებოდა ქართულ, აფხაზურ და რუსულ ენებზე. 1979 წელს სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი ჩამოყალიბდა როგორც აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

1989 წლის ცნობილი პოლიტიკური მოვლენების შემდეგ, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს გამოეყო ქართული ნაწილი, რომელმაც გააერთიანა უნივერსიტეტის პროფესორების და სტუდენტების უმრავლესობა. 1989 წლის 14 მაისს უნივერსიტეტის ქართული ნაწილის ბაზაზე დაარსდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი, რომელმაც 1993 წლიდან ფუნქციონირება თბილისში გააგრძელა.

2007 წლის 31 ივლისს საქართველოს მთავრობის დადგენილებით თსუ - ს სოხუმის ფილიალის ბაზაზე დაარსდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სოხუმის უნივერსიტეტი. 2008 წლის 4 იანვარს უნივერსიტეტმა მიიღო საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების სახელმწიფო ლიცენზია, ხოლო 2008 წლის 8 იანვარს - სახელმწიფო აკრედიტაცია (5 წლის ვადით).

2008 წლის 10 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ ცვლილება შეიტანა საქართველოს მთავრობის №239 დადგენილებაში. დადგენილების თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს სოხუმის უნივერსიტეტს ეწოდა "საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი". საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 18 სექტემბრის №292 გადაწყვეტილებით, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიენიჭა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უნივერსიტეტის) სტატუსი და განესაზღვრა სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა 2871 სტუდენტით.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 8 დეკემბრის №95 გადაწყვეტილებით, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს 6 წლის ვადით მიენიჭა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უნივერსიტეტის) სტატუსი და განესაზღვრა სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა - 3340 სტუდენტი. იმავე სხდომაზე №96 გადაწყვეტილების საფუძველზე უნივერსიტეტს მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება და განესაზღვრა პროფესიულ სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა 160 - სტუდენტით. აღსანიშნავია, რომ საბჭომ უნივერსიტეტს

განუსაზღვრა 1 წელი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად.

ერთი წლის განმავლობაში, საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით უნივერსიტეტმა განახორციელა გარკვეული ღონისძიებები და წლის ბოლოს წარადგინა შესაბამისი ანგარიში.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 23 მარტის სხდომაზე საბჭომ განიხილა წარდგენილი ანგარიში და ერთხმად სცნო ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების ანგარიში (სხდომის ოქმი №4).

მიმდინარე ეტაპზე უნივერსიტეტი ახორციელებს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის 56 საგანმანათლებლო პროგრამას (მათ შორის 45 - აკრედიტებულს), მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას (60 ECTS) და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას (60 ECTS). აქტიურ სტუდენტთა რაოდენობა შეადგენს 3134 სტუდენტს, მათგან ექვსი სტუდენტი არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე. უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალის საერთო რაოდენობა (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი) შეადგენს 470-ს.

საავტორიზაციო შეფასების პროცედურის მოკლე მიმოხილვა: თვითშეფასების ანგარიში და ადგილზე ვიზიტი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის N15/01 - 07 - 16 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა თვითშეფასების ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და სხვა პასუხისმგებელი პირები. აღნიშნულ ჯგუფში განისაზღვრა თითოეული სტანდარტის პასუხისმგებლობები. მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე მომზადდა თვითშეფასების ანგარიში და 2024 წლის 15 ოქტომბერს წარედგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

პროცესის ფარგლებში რეგულარულად ტარდებოდა შეხვედრები, ზუსტდებოდა ინფორმაცია და სხვადასხვა გარემოებების გათვალისწინებით ხორციელდებოდა ცვლილებების შეტანა. საბოლოო ვერსია განხილულ იქნა თვითშეფასების მთავარი ჯგუფის მიერ და წარედგინა უნივერსიტეტის რექტორს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. საბოლოო ვერსია შესაბამისი დანართებით წარედგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოლო შეფასება განხორციელდა 2018 წლის ოქტომბერში.

2024 წლის 16 სექტემბერს, 16:00 საათზე ონლაინ რეჟიმში გაიმართა წინასწარმოსამზადებელი შეხვედრა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლების მონაწილეობით, რომლის დროსაც ექსპერტებმა განიხილეს ვადები, გადაინაწილეს ფუნქციები და მოემზადნენ 19 - 21 სექტემბერს დაგეგმილი ადგილზე ვიზიტის ფარგლებში განსახორციელებელი გასაუბრებებისთვის. შემუშავდა სამდღიანი ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც შემდგომში რამდენჯერმე გადაიხედა ექსპერტთა ჯგუფის საჭიროებების გათვალისწინებით, ინტენსიური ავტორიზაციის ვიზიტის პროცესში 19 - 21 სექტემბერს.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი დაინიშნა 17, 18 და 19 სექტემბერს, რომელიც შედგებოდა ექვსი წევრისგან, რომელთაგან ხუთი წარმოადგენდა ქართველ აკადემიურს პერსონალს. პირადი გარემოებების გამო, მეშვიდე ქართველ წევრს მოუწია ექსპერტთა ჯგუფის დატოვება გასაუბრებების დაწყებამდე. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გაერთიანებული სამეფოს ექსპერტმა, თავის თავზე აიღო დამატებითი სამუშაო დატვირთვა.

ექსპერტთა ჯგუფმა სასარგებლოდ და ზუსტად მიიჩნია თანდართული დოკუმენტაცია, რომელიც შეესაბამებოდა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ პროფესიულ პრაქტიკას. თვითშეფასების ანგარიში წარმოადგენდა 2018 წლის დოკუმენტის გაუმჯობესებულ ვერსიას, მოიცავდა ანალიტიკურ და თვითკრიტიკულ მონაცემებს. თანდართული დოკუმენტაცია არ იყო ზედმეტად მოცულობითი და დატვირთული. დოკუმენტაციის უმეტესი ნაწილი ხელმისაწვდომი იყო როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე.

სამი დღის განმავლობაში განხორციელდა ოცდაორი გასაუბრება, მათ შორის დამატებითი შეხვედრა და პირველადი მიგნებების გაცნობის შეხვედრა. ვიზიტის განმავლობაში ჯგუფი რამდენჯერმე შეხვდა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას. მათ შორის იყვნენ: სრულ განაკვეთზე დასაქმებული და მოწვეული აკადემიური პერსონალი; ადმინისტრაციული და სტუდენტთა მხარდაჭერის პერსონალი; ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და სადოქტორო პროგრამების სტუდენტები და გარე დაინტერესებული მხარეები, მათ შორის კურსდამთავრებულები. ექსპერტთა ჯგუფს, უნივერსიტეტის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს შორის გასაუბრებები ძირითადად განხორციელდა ქართულ ენაზე. თავმჯდომარისთვის ინგლისური თარგმანი უზრუნველყო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა. ექსპერტთა ჯგუფი ორ ნაწილად გაიყო უნივერსიტეტის ორივე შენობის დასათვალიერებლად, რომლებიც თბილისში, პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე მდებარეობდა.

ექსპერტთა ჯგუფი მადლობას უხდის უნივერსიტეტს და ყველა კოლეგას, რომლებმაც ექსპერტთა ჯგუფს დაუთმო დრო უკეთ შეესწავლათ თუ როგორ დგას სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში უმაღლესი განათლების საკითხი. ექსპერტთა ჯგუფი მადლობას უხდის იმ თანამშრომლებს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს, რომლებიც სპეციალურად ავტორიზაციის პროცესისთვის ეწვივნენ უნივერსიტეტს. ყველა კოლეგამ და მოწვეულმა პირმა წარმოაჩინა საკუთარი თავი პროფესიონალურად, გულმოდგინედ და პატივისცემით. გასაუბრებები იყო გულწრფელი, ყოვლისმომცველი და მონაწილეობითი, უნივერსიტეტის ზრდის და შემდგომი განვითარების სურვილის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფი განსაკუთრებულ მადლობას უხდის სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს და ბატონ კახი ქენკაძეს (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი) შესანიშნავი თარგმანის და ვიზიტის შემდგომი განმარტებებისთვის.

ექსპერტთა ჯგუფი უნივერსიტეტს უსურვებს წარმატებას მომავალში, დასკვნის პროექტში წარმოდგენილ მიგნებებთან და დეტალურ შედეგებთან მუშაობასთან დაკავშირებით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციების შეჯამება

პირველი სტანდარტი, მისი ორი კომპონენტით სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან (1.1; 1.2);

მეორე სტანდარტის ერთი კომპონენტი სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან (2.3), ხოლო ორი კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან (2.1; 2.2);

მესამე სტანდარტის ორი კომპონენტი სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან (3.1; 3.2), ხოლო ერთი კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან (3.3);

მეოთხე სტანდარტი, მისი ორი კომპონენტით სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან (4.1; 4.2);

მეხუთე სტანდარტი, მისი ორი კომპოენენტით მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან (5.1; 5.2);

მეექვსე სტანდარტის ორი კომპოენენტი სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან (6.2; 6.3), ხოლო ერთი კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან (6.1);

მეშვიდე სტანდარტის ყველა კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან (7.1 – 7.4).

რეკომენდებულია:

გაიყოს "პერსონალის მართვის პოლიტიკის ზოგადი პრინციპების" დოკუმენტი

უნივერსიტეტის და ფაკულტეტის დონის მექანიზმებად;

მექანიზმები (ზემოაღნიშნული) უნდა ჩამოყალიბდეს უფრო ძლიერი საერთაშორისო ორიენტაციით;

თითოეულ მექანიზმთან მიმართებაში უნდა განისაზღვროს ძირითადი ინდიკატორები. მაგალითად:

მექანიზმი: მასწავლებლების, მეცნიერების და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართვა გაცვლით პროგრამებში.

შეფასების ინდიკატორი: გაცვლითი პროგრამების რაოდენობა, რომელშიც ჩართული იყვნენ მასწავლებლები, მეცნიერები და ადმინისტრაციული პერსონალი. (კომპონენტი 2.1);

რეკომენდებულია, 2018 წლის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი "ხარისხის უზრუნველყოფის შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები", რომელიც მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან მახასიათებლებს, გადაიხედოს როგორც ეს აღწერილია 2.2 კომპონენტის ძირითად ტექსტში.

რეკომენდებულია, არსებობდეს გარკვეული კავშირი ზემოაღნიშნულ "ხარისხის უზრუნველყოფის შესაძლებლობების შეფასების მექანიზმების" დოკუმენტს და "სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის და სამიზნე ნიშნულების მექანიზმის" დოკუმენტს შორის;

რეკომენდებულია, არსებული "გარე" ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების აღწერა და განვითარება იმის უზრუნველსაყოფად, რომ შიდა და გარე მექანიზმები ყოველთვის ორიენტირებული იყოს განვითარებაზე;

რეკომენდებულია, წარმოდგენილი იყოს ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების უფრო კონკრეტული დეტალები, მათ შორის კითხვარების ანალიზი, პროცესის სიხშირე, უკუკავშირი, წლიური ანგარიშგება, ციკლის დახურვის რამდენიმე მაგალითი და ასევე იმ ციკლების მაგალითები, რომლებიც არ იხურება ხარისხის უზრუნველყოფის კარგი მიზეზებიდან გამომდინარე;

რეკომენდებულია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს ინდივიდუალური კოლეგიალური შეფასების პრაქტიკის გაგრძელება და განვითარება და მისი გავრცელება და განვითარება ადმინისტრაციული პერსონალისთვის. (კომპონენტი 2.2);

სასწავლო გეგმასთან დაკავშირებით, რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და განვითარების მეთოდოლოგიას და პირველ დანართთან ერთად მოიცავდეს მეორე და მესამე დანართებს. უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი უფრო ეფექტურად უნდა იყოს გამოყენებული საგანმანათლებლო პროგრამების კონკრეტული სწავლის შედეგების შესაფასებლად.

რეკომენდებულია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ შეასრულოს 2018 წლის ავტორიზაციის დროს გაცემული მითითებები და შეიმუშაოს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და განვითარების ერთიანი პოლიტიკის დოკუმენტი.

ვინაიდან სტუდენტების ენობრივი კომპეტენცია დაბალია და ხშირ შემთხვევაში არ შეესაბამება B2 დონეს, რაც წარმოადგენს მიღების ფორმალურ მოთხოვნას, რეკომენდებულია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა რაც შეიძლება სწრაფად გადაჭრას აღნიშნული საკითხი. (კომპონენტი 5.1);

რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს პრაქტიკული სწავლება სტუდენტების პრაქტიკული გამოცდილების გასაუმჯობესებლად და კარიერული განვითარებისთვის საჭირო უნარებით აღჭურვის მიზნით (კომპონენტი 5.2);

რეკომენდებულია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, 2025 წლის იანვრის დასაწყისისთვის შიდა სართულების რემონტის დასრულება და გააგრძელოს შემდგომი მუშაობა შეზღუდული შესაძლებლობებისა და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე სტუდენტების პირობების შესაქმენლად, აღნიშნული კატეგორიის სტუდენტების მოზდივის უნივერსიტეტის მზარდი ინტერესის შესაბამისად. რეკომენდებულია, რაც შეიძლება სწრაფად გაიზარდოს სტუდენტებისთვის განკუთვნილი სხვადასხვა სივრცეები. (კომპონენტი 7.1);

სასურველია, საბიბლიოთეკო ინფრასტრუქტურაში ინვესტირების განხორციელება. უნივერსიტეტმა უნდა განაგრძოს საბიბლიოთეკო ინფრასტრუქტურის განვითარებისაკენ მიმართული ძალისხმევა, განსაკუთრებით სივრცის გაფართოებისა და სწავლისა და კვლევისათვის საჭირო ინტრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით. (კომპონენტი 7.2);

რეკომენდებულია, განვითარდეს ციფრული განათლების უმაღლესი სტანდარტები, იმისათვის, რომ სტუდენტები ფლობდნენ თანამედროვე ტექნოლოგიებს, რისი მოლოდინიც საკმაოდ მაღალია დამსაქმებლების მხრიდან. აღნიშნული უნდა მოიცავდეს: გაძლიერებულ საინფორმაციო ტექნოლოგიებს, სმარტ მაგიდებს და უმაღლესი დონის ციფრული ტექნოლოგიების სწავლებას (კომპონენტი 7.3);

რეკომენდებულია სსუმ დანიშნოს გარე ფინანსური აუდიტორი. (კომპონენტი 7.4).

რჩევების შეჯამება

სასურველია:

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტების ჩართულობა ახალი პროგრამების შემუშავების პროცესში. აღნიშნულ პროცესში უკვე მონაწილეობენ კურსდამთავრებულები. კომპონენტი 2.1;

მიუხედავად იმისა, რომ ეთიკის კომისია იშვიათად იკრიბება, კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ყოველწლიური ანგარიშის მომზადება თემაზე "ეთიკის ზოგადი ტენდენციები ევროპულ უმაღლეს განათლებაში" ან მსგავს თემაზე, იმისათვის, რომ ეთიკის კომისია იყოს აქტიური და პროაქტიული უნივერსიტეტის პერსონალის თვალში. (კომპონენტი 2.3);

სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს მოწვეული ახალგაზრდა პერსონალის - სხვა უნივერსიტეტებთან არააფილირებული პერსონალის დაწინაურების მოქნილი მექანიზმი, გააგრძელოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება და ხელი შეუწყოს პარტნიორობებს უფრო ფართო, მდგრადი სტრატეგიის ფარგლებში;

გამომდინარე იქიდან, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის დიდი ნაწილი არ საუბრობს ინგლისურ ენაზე, სასურველია მათი მომზადება და გადამზადება, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულება გეგმავს მეტი საერთაშორისო პროექტის და პროგრამის განხორციელებას. (კომპონენტი 4.1);

სასურველია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ყველა ხელშეკრულებაში ასახოს აფილირების პირობები და აკადემიური პერსონალის გარე დატვირთვის მონიტორინგის მიზნით გამოიყენოს უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა და შიდა მონიტორინგის მექანიზმები. (კომპონენტი 4.2);

ყველა დოქტორანტისთვის - აუცილებელია მინიმუმ ერთი სტატიის გამოქვეყნება ისეთ ჟურნალში, რომელიც ინდექსირებულია Web of Science (Clarivate Analytics), ERIH PLUS (ჰუმანიტარული მეცნიერებების ევროპული რეფერენსირების ინდექსი) ან Scopus - ის მონაცემთა ბაზებში, რომელმაც უნდა დაადგინოს კვლევითი სტატიების შემუშავების მაღალი სტანდარტები და ხელი შეუწყოს კვლევის ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას. (კომპონენტი 6.1);

სასურველია, გაუმჯობესდეს ორივე შენობის ფასადი, იმისათვის, რომ ისინი უფრო მეტად შეესაბამებოდნენ უნივერსიტეტის სტატუსის მქონე დაწესებულებებს, ასევე სასურველია, სოხუმის სახელწმიფო უნივერსიტეტმა ფოიეებში უზრუნველყოს მიმზიდველი და პროფესიონალური ზოგადი მისაღები სივრცეები. (კომპონენტი 7.1);

სასურველია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მოწინავე ციფრული განათლების მიღწევის საშუალებად, განიხილოს საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის და განვითარების პოლიტიკის და პროცედურების (დანართი 7.8) ორგანიზება FIBAA -ს (საერთაშორისო ბიზნესის ადმინისტრირების აკრედიტაციის ფონდი) 5 სტანდარტის გათვალისწინებით: გაციფრულების სტრატეგია, პერსონალის უზრუნველყოფა, ტექნოლოგია, დიდაქტიკური სტრატეგია და ხარისხის უზრუნველყოფა. სასურველია, მიმდინარე ავტორიზაციის შუა პერიოდისთვის უნივერსიტეტმა დაგეგმოს FIBAA - ს ხარისხის მოწმობის "სრულყოფილება ციფრულ განათლებაში" მოპოვების მიზნით განაცხადის გაკეთება. (კომპონენტი 7.3);

სასურველია, სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის გეგმების გათვალისწინებით, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გააორმაგოს ძალისხმევა დაფინანსების მოსაძიებლად. (კომპონენტი 7.4).

საუკეთესო პრაქტიკების შეჯამება

საჭიროებიდან გამომდინარე ახლად შექმნილი ფსიქოლოგიური ცენტრი, რომელიც მიჩნეულია მნიშვნელოვან წარმატებად უნივერსიტეტის მასშტაბით. (კომპონენტი 4.1)

საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების გაძლიერების მიზნით, უნივერსიტეტმა დანერგა მექანიზმი პრაქტიკული კომპონენტების გათვალისწინების უზრუნველსაყოფად, რომელიც იყენებს როგორც საერთაშორისო პროექტების, ისე ადგილობრივი ბიზნესების შესაძლებლობებს (მათ შორის საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, რუსთავის სასამართლო, სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკის და ტექნოლოგიის ინსტიტუტი, ფარმადეპო). (კომპონენტი 3.1).

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
1.	**უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება**	☒	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☒	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
2.	**უსდ - ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა**	☐	☒	☐	☐

2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☒	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☒	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☒	☐	☐	☐
3.	**საგანმანათლებლო პროგრამები**	☒	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☒	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☒	☐	☐
4	**უსდ-ის პერსონალი**	☒	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☒	☐	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☒	☐	☐	☐
5	**სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები**	☐	☒	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☐	☒	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☒	☐	☐
6	**კვლევა, განვითარება ან / და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა**	☒	☐	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☒	☐	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☒	☐	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☒	☐	☐	☐
7	**მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**	☐	☒	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☒	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	☒	☐	☐

7.3	საინფერმაციო რესურსები	☐	☒	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☒	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. სახელი, გვარი (თავმჯდომარე) ტერენს კლიფორდ - ამოსი

2. სახელი, გვარი (წევრი) მაგდა მემანიშვილი

3. სახელი, გვარი (წევრი) ბექა ბენდელიანი

4. სახელი, გვარი (წევრი) სოფია ბაზაძე
5. სახელი, გვარი (წევრი) ილია ბოცვაძე
6. სახელი, გვარი, ხელმოწერა თამარ ძველაია
7. სახელი, გვარი (წევრი) გაიოზ ფარცხალაძე

ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობა

1. 1. უსდ - ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ - ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და / ან საერთაშორისო დონეზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის განაცხადის დეტალური ანალიზი, იმისათვის, რომ დაედგინა მისი შესაბამისობა "საქართველოს უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებთან", როგორც ეს განსაზღვრულია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით. მისიის განაცხადი შესწავლილ იქნა იმის მიხედვით, თუ როგორ არის მასში განსაზღვრული უნივერსიტეტის როლი და ადგილი უმაღლესი განათლების სექტორში და საზოგადოებაში, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. ანალიზი ეფუძნებოდა გასაუბრებებს უნივერსიტეტის დაინტერესებულ მხარეებთან, დაწესებულების დოკუმენტების შესწავლას და საგანმანათლებლო საქმიანობის შეფასებას.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის განაცხადი არის ამბიციური, ყოვლისმომცველი და მკაფიოდ შეესაბამება უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს როგორც საქართველოში, ისე ევროპაში. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ მისიის განაცხადი ასახავს უნივერსიტეტის როგორც მთავარი დაწესებულების როლს საგანმანათლებლო, კულტურული და დიპლომატიური კავშირების განვითარებაში, განსაკუთრებული აქცენტით შემდეგზე: მისიის განაცხადი ხაზს უსვამს უნივერსიტეტის ვალდებულებას ქართულ და აფხაზურ თემებს შორის დიპლომატიური, კულტურული და საგანმანათლებლო კავშირების ჩამოყალიბებაში. ის ხელს უწყობს მშვიდობიან თანაარსებობას, რაც წარმოადგენს უნიკალურ სოციალურ - პოლიტიკურ საკითხს საქართველოში. აღნიშნული ორიენტაცია შეესაბამება ეროვნულ პრიორიტეტს ხელი შეუწყოს შერიგების და მშვიდობის მშენებლობას განათლების, როგორც კრიტიკული ინსტრუმენტის გამოყენებით; უნივერსიტეტის ძალისხმევა ხელს უწყობს ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის უფრო ფართო მიზნებს კულტურული ურთიერთგაგების, კონფლიქტების მოგვარების და საზღვრებს მიღმა სოციალური ერთიანობის ხელშეწყობის მიმართულებით. უნივერსიტეტის მისიის განაცხადი ხაზს უსვამს მის ერთგულებას ცოდნის განვითარების და გავრცელების მიმართულებით უახლეს სამეცნიერო იდეებზე დაფუძნებული განათლების მეშვეობით. უნივერსიტეტის ვალდებულება მოამზადოს თანამედროვე სამყაროსთვის შესაბამისი უნარების მქონე სპეციალისტები, შეესაბამება საქართველოს უმაღლესი განათლების მიზანს აღზარდოს გლობალურად კომპეტენტური კურსდამთავრებულები.

უნივერსიტეტის მისიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფა, ეთნიკური კუთვნილების, სოციალური წარმომავლობის და პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებების მიუხედავად. აღნიშნული ვალდებულება შეესაბამება როგორც საქართველოს, ისე ევროპის მიზნებს უზრუნველყოს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა მრავალფეროვანი მოსახლეობისთვის და ამით ხელი შეუწყოს სამოქალაქო პასუხისმგებლობას. უნივერსიტეტის მიზანს წარმოადგენს შრომის ბაზრისთვის ინდივიდების მოამზადება, ამავდროულად ხელი შეუწყოს მათი მორალური და სამოქალაქო ღირებულებების ჩამოყალიბებას, სტუდენტების მომზადება გლობალურ საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის და განათლების გზით გლობალური მოქალაქეობის განვითარების ხელშეწყობა. მისიის განაცხადი ხაზს უსვამს ინტერდისციპლინური სწავლების განვითარებას, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორიც არის კონფლიქტების მოგვარება, მშვიდობის კვლევები და რეგიონული პოლიტიკა. აღნიშნული ინტერდისციპლინური მიდგომა უნივერსიტეტს წარმოაჩენს, როგორც აკადემიური კვლევის და საზოგადოებრივი

ცვლილებების ცენტრს, რომელსაც წვლილი შეაქვს მშვიდობის და შერიგების საკითხებში როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

მისია ასევე ხაზს უსვამს უნივერსიტეტის მზადყოფნას მხარი დაუჭიროს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებს, რაც ასახავს მის ვალდებულებას ინკლუზიურობის და ქართული და ევროპული საგანმანათლებლო სისტემების ფართო მიზნების მიმართ ყველა სტუდენტისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფით.

მისია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს ასევე წარმოაჩენს როგორც საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის მნიშვნელოვან მოთამაშეს, რომელსაც გააჩნია განსაკუთრებული როლი ხელი შეუწყოს მშვიდობას და შერიგებას ქართულ და აფხაზურ საზოგადოებას შორის. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ აღნიშნული როლი გადამწყვეტია მშვიდობის მშენებლობის, სოციალური სტაბილურობის და ისტორიულად გაყოფილი საზოგადოებების რეინტეგრაციის ეროვნული მიზნების ხელშეწყობისთვის.

გარდა ამისა, უნივერსიტეტის ორიენტაცია სოციალურად დაუცველი სტუდენტების ინკლუზიურ განათლებაზე და აღნიშნული მიმართულებით მისი პრაქტიკული ვალდებულებები (როგორიც არის ფინანსური დახმარება და სპეციალიზებული კურსები), კიდევ უფრო აძლიერებს მის როგორც სოციალური მობილობის და ინკლუზიის მამოძრავებელი ძალის როლს. აღნიშნული ადგილობრივი გავლენა მნიშვნელოვანია სამართლიანი და ხელმისაწვდომი უმაღლესი განათლების სისტემის შექმნის ეროვნული მიზნის შესასრულებლად.

მისიის განაცხადი საერთაშორისო დონეზე ხაზს უსვამს უნივერსიტეტის შესაბამისობას ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის მიზნებთან, განსაკუთრებით მის ორიენტაციას ინტერდისციპლინურ კვლევებზე და მიზანს გახდეს კონფლიქტების კვლევის რეგიონული ცენტრი. მშვიდობის განათლების ცენტრის დაარსება, რომელიც ორიენტირებულია ისეთ სფეროებზე, როგორიც არის აფხაზეთის კვლევები, საუნივერსიტეტო დიპლომატია და კონფლიქტების მოგვარება აძლიერებს უნივერსიტეტის საერთაშორისო პროფილს, მშვიდობის კვლევის და განათლების მიმართულებით.

აღნიშნული საერთაშორისო როლი დამატებით მხარდაჭერილია უნივერსიტეტის ძალისხმევით მოამზადოს სპეციალისტები, რომლებიც მზად არიან გლობალურ საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის, რითიც შეიტანენ წვლილს როგორც ეროვნულ განვითარებაში, ისე უმაღლესი განათლებაში საერთაშორისო თანამშრომლობაში.

უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის შეფასების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის განაცხადი აისახება დაწესებულების ყოველდღიურ საქმიანობაში და გრძელვადიან სტრატეგიებში. უნივერსიტეტის მიისადმი ვალდებულება თვალსაჩინოა პერსონალის და სტუდენტების ცხოვრებაში. ინტერდისციპლინურ განათლებასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ინტერდისციპლინური სწავლების ხელშეწყობისთვის, განსაკუთრებით კონფლიქტების მოგვარების და რეგიონული პოლიტიკის მიმართულებით. აღნიშნული ორიენტაცია პირდაპირ უჭერს მხარს დაწესებულების მისიას შეიტანოს წვლილი შერიგებასა და მშვიდობის მშენებლობაში საერთაშორისო დონეზე.

ინკლუზიურობის პოლიტიკამ და სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტების მხარდაჭერამ უნივერსიტეტს გაუჩინა სურვილი მიიღოს სხვადასხვა ზომები სპეციალური

საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტების მხარდაჭერის მიზნით, უზრუნველყოს რესურსების ეფექტურად გამოყენება ინკლუზიური სასწავლო გარემოს შესაქმნელად. აღნიშნული პრაქტიკული ვალდებულება შეესაბამება მისიის განაცხადს უზრუნველყოს განათლება ყველასთვის და ინკლუზიურობის კუთხით მხარი დაუჭიროს როგორც ეროვნულ, ისე ევროპულ მიზნებს.

დაინტერესებული მხარეების ჩართულობასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალთან და სტუდენტებთან განხორციელებული შეხვედრებისას გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტის მისია ფართოდ არის მიღებული საზოგადოების მიერ. დაინტერესებულმა მხარეებმა დაადასტურეს, რომ მისიის განაცხადის შემუშავების პროცესში მათთან ჩატარდა კონსულტაციები, ხოლო მისი ღირებულებები აისახება მათ ყოველდღიურ საქმიანობაში. აღნიშნული ფართო ჩართულობა კიდევ ერთხელ დემოსნტრირებს უნივერსიტეტის ეთოსს და შესაბამისობას მის პრაქტიკულ ვალდებულებებს შორის.

ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის განაცხადი ყოვლისმომცველი და მომავალზე ორიენტირებულია, მჭიდროდ შეესაბამება საქართველოს და ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის უმაღლესი განათლების მიზნებს.

მისიის განაცხადი ძალიან კარგად არის ინტეგრირებული უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობაში, კვლევით ორიენტაციასა და საზოგადოებასთან ურთიერთობაში, რაც დაწესებულებას წარმოაჩენს როგორც ინტერდისციპლინური სწავლების და კონფლიქტების მოგვარების ლიდერს. მისიის განაცხადის აქცენტი ინკლუზიურ განათლებაზე და სამოქალაქო პასუხისმგებლობაზე უზრუნველყოფს, რომ უნივერსიტეტს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს როგორც საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის, ისე ფართო ევროპული აკადემიური საზოგადოების განვითარებაში.

უნივერსიტეტის მისიის განაცხადი ასევე ასახავს მის მისწრაფებებს წარმოადგენდეს დამაკავშირებელ ძალას გაყოფილ საზოგადოებებს შორის, უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლება და წვლილი შეიტანოს გლობალურ ცოდნასა და მშვიდობის მცდელობებში.

ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციაა, რომ მისიამ კვლავ განაგრძოს უნივერსიტეტის სამომავლო განვითარების წარმართვა, უზრუნველყოს შესაბამისობის შენარჩუნება როგორც ეროვნული, ისე ევროპული უმაღლესი განათლების პრიორიტეტებთან. მისია გახდა ყოვლისმომცველი გზავნილი დაინტერესებულ აუდიტორიებს შორის საქართველოში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

საუკეთესო პრაქტიკა(ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 სტრატეგიული განვითარება

- უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი).
- უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვებულ ცოდნას და ხელს უწყობს მტელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.
- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018 - 2025), მასთან დაკავშირებული სამწლიანი სამოქმედო გეგმა (2018 - 2020), სამოქმედო გეგმა (2021- 2023), სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი (2025 - 2031) და სამოქმედო გეგმა (2025 - 2027), იმისათვის, რომ შეეფასებინა მათი შესაბამისობა დაწესებულების მისიასთან და ავტორიზაციის სტანდარტებთან. ყურადღება გამახვილდა იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება სტრატეგიული გეგმა უნივერსიტეტის მისიას, მიზნების მიღწევის საშუალებებს და თუ რა წვლილი შეაქვს დაწესებულებას საზოგადოების განვითარებაში. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეაფასა აღნიშნული გეგმების განხორციელების მონიტორინგის და შეფასების პროცესები და უნივერსიტეტის საზოგადოების განვითარებაში ჩართულობა სხვადასხვა სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ინიციატივების მეშვეობით.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია კარგად სტრუქტურირებული სტრატეგიული განვითარების გეგმა, ექვსი ძირითადი მიმართულებით (2018 - 2025) და შვიდი მიმართულებით (2025 - 2031) რომლებიც პირდაპირ ასახავს უნივერსიტეტის მისიას. ექვსი ძირითადი მიმართულებაა: სწავლების ხარისხის და საერთაშორისო სტანდარტების

გაუმჯობესება; სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობა; ინტერნაციონალიზაცია და ურთიერთობების გაფართოება; სტუდენტური სერვისები; მართვის შემდგომი გაუმჯობესება და ფინანსური და მატერიალური უზრუნველყოფა.

აღნიშნული მიმართულებები შეესაბამება უნივერსიტეტის ვალდებულებას ხელი შეუწყოს აკადემიურ ბრწყინვალებას, კვლევის მხარდაჭერას, საერთაშორისო ურთიერთობების გაფართოებას და საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანას. სტრატეგიული გეგმა ასევე ხაზს უსვამს ინკლუზიურობის მნიშვნელობას, საზოგადოებებს შორის მშვიდობიანი თანაარსებობის ხელშეწყობას და ინტერდისციპლინური კვლევების განვითარებას, რაც წარმოადგენს უნივერსიტეტის მისიის ძირითად ელემენტებს.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ სტრატეგიული გეგმა შემუშავდა დაწესებულების მასშტაბით ჩატარებული კონსულტაციების გზით, მათ შორის უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოების და ფაკულტეტების მონაწილეობით. უნივერსიტეტმა გამოიყენა SWOT ანალიზი, კრიტიკულად შეაფასა საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები; გეგმა ასახავს უნივერსიტეტის წინაშე მდგარი გამოწვევების რეალისტურ შეფასებას. აღნიშნული დემოსნტრირებს, რომ სტრატეგიული გეგმა ეფუძნება არა მხოლოდ მისწრაფებებს, არამედ ასევე ეყრდნობა უმაღლეს განათლებაში უნივერსიტეტის არსებული პოზიციის რეალისტურ გაგებას.

ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ კონკრეტული შესრულების ინდიკატორების დანერგვით უნივერსიტეტმა გააძლიერა თავისი სამოქმედო გეგმები. აღნიშნული ინდიკატორები უზრუნველყოფს გაზომვად მიზნებს, რაც იძლევა თითოეული მიზნის პროგრესის ეფექტურ შეფასებას და მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობას. აღნიშნული უნივერსიტეტის წარმომადგენლობით და აკადემიურ საბჭოებს საშუალებას აძლევს უფრო მკაცრად აკონტროლონ გეგმების წარმატება და საჭიროების შემთხვევაში განახორციელონ სტრატეგიების კორექტირება.

უნივერსიტეტის წვლილი საზოგადოების განვითარებაში თვალსაჩინოა სხვადასხვა სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით ინიციატივებში ჩართულობით. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ უნივერსიტეტი აქტიურად მონაწილეობს მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საკითხების განხილვებში, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი ჩართულია კვლევებში და პროექტებში, რომლებიც ეხება საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან და სხვა საკითხებს. აღნიშნული ინიციატივები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, შეიტანოს წვლილი საზოგადოებრივ სიკეთეში და ხელი შეუწყოს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლას.

აღსანიშნავია უნივერსიტეტის ძალისხმევა საზოგადოებაში ცოდნის გაზიარების და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშეწყობის მიმართულებით და ექსპერტთა ჯგუფი მხარს უჭერს ასეთ აქტივობებში მუდმივ ჩართულობას. უნივერსიტეტის სტრატეგიული ორიენტაცია საზოგადოების ჩართულობაზე არის პოზიტიური გადადგმული ნაბიჯი მისი სოციალური პასუხისმგებლობის მისიის შესრულებისკენ.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა და სამოქმედო გეგმები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და საქართველოს უმაღლესი განათლების მიზნებს. სტრატეგიული გეგმა ასახავს მკაფიო გზას უნივერსიტეტის მიზნების მისაღწევად. დაწესებულების ვალდებულება საზოგადოების

განვითარების მიმართ თვალსაჩინოა მისი სხვადასხვა სასწავლო და კვლევითი ინიციატივების მეშვეობით. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების შეფასების მექანიზმები და მონიტორინგის სისტემა, რომელიც მოიცავს კვარტალურ რეგულარულ შეხვედრებს, სადაც სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები იკრიბებიან და განიხილავენ გეგმაში განსაზღვრული ამოცანების შესრულების საკითხებს. მონიტორინგი ხორციელდებოდა რეგულარულად და ხელს უწყობდა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
საუკეთესო პრაქტიკა(ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. 2. უსდ - ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის

უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
o უსდ - ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ - ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. o უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. o უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ - ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. o უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა წარმოადგინა უნივერსიტეტის წესდება, ასევე სტრუქტურული ერთეულების დებულებები. უნივერსიტეტის წესდება ასევე მოიცავს უნივერსიტეტის მართვის პრინციპებს.

წესდებით უნივერსიტეტის მართვის ორგანოები განსაზღვრულია შემდეგნაირად: აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ფაკულტეტის მართვის ორგანოებია:

ფაკულტეტის საბჭო, დეკანი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. დამოუკიდებელი სამეცნიერო - კვლევითი ერთეულების მართვის ორგანოებია სამეცნიერო საბჭო და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორი.

წესდება დეტალურად აღწერს თითოეული მართვის ორგანოს ფუნქციებს, მისი ფორმირების პრინციპებს, თავმჯდომარეების და წევრების ძირითად მოვალეობებს და პასუხისმგებლობებს, მათი არჩევის, დანიშვნის და უფლებამოსილების შეწყვეტის წესებს და ვადებს.

აკადემიური საბჭო წარმოადგენს უნივერსიტეტის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს, რომელსაც ხელმძღვანელობს რექტორი. აკადემიური საბჭოს წევრები აირჩევიან თავისუფალი და თანასწორი არჩევნების გზით ფაკულტეტების აკადემიური პერსონალის ყველა წევრისგან, დამოუკიდებელი კვლევითი ერთეულების სამეცნიერო პერსონალის ყველა წევრისგან და ფაკულტეტის საბჭოებში სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებისგან. აკადემიური საბჭო პასუხისმგებელია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო - კვლევითი პროგრამების სტრატეგიული გეგმის და ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის (ფაკულტეტის წინადადებით) შემუშავებაზე და დამტკიცებაზე.

აკადემიური საბჭო: ხელს უწყობს მობილობის, თანამშრომლობის და ერთობლივი კვლევით - სამეცნიერო პროგრამების ხელშეწყობით ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ინტეგრაციას; ირჩევს რექტორს საბჭოს თავმჯდომარის პოზიციაზე; წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პოზიციაზე ღია კონკურსის გზით შერჩეულ კანდიდატს და უფლებამოსილია წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგინოს დასაბუთებული წინადადება აღნიშნული თანამდებობის ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

აკადემიური საბჭო წარმომადგენლობით საბჭოსთან ერთად მონაწილეობს უნივერსიტეტის წესდების, სტრუქტურული ერთეულების დებულებების, ბიუჯეტის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიური ანგარიშების განხილვაში. წარმომადგენლობით საბჭოზე წარსადგენად აკადემიური საბჭო ამტკიცებს დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულების და დამხმარე სამეცნიერო ერთეულების დებულებებს. აკადემიური საბჭოს და მისი წევრების ფუნქციების და პასუხისმგებლობების სრული აღწერილობა განსაზღვრულია წესდებაში (მუხლები 7, 8 და 9).

წარმომადგენლობითი საბჭო აერთიანებს სტუდენტებს, აკადემიურ და სამეცნიერო წარმომადგენლებს და ბიბლიოთეკის დირექტორს. სამეცნიერო ერთეულის წარმომადგენელი აკადემიურ საბჭოსთან თანამშრომლობით პასუხისმგებელია წესდების შემუშავებაზე, რომელსაც შემდგომ წარუდგენს საქართველოს განათლების, მეცნიერების და

ახალგაზრდობის სამინისტროს. წარმომადგენლობითი საბჭო შეიმუშავებს და ამტკიცებს შინაგანაწესს, ეთიკის კოდექსს და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებს, ბიუჯეტის პროექტის შედგენის წესს და სტრუქტურული ერთეულების დებულებებს. ფაკულტეტის და აკადემიური საბჭოს წინადადებების საფუძველზე, წარმომადგენლობითი საბჭო ამტკიცებს ფაკულტეტის დებულებას.

წარმომადგენლობითი საბჭო ამტკიცებს დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულების, დამხმარე სამეცნიერო ერთეულების და დამოუკიდებელი კვლევითი ერთეულების დებულებებს. სხვა ფუნქციები და პასუხისმგებლობების განაწილება აკადემიურ საბჭოს და წარმომადგენლობით საბჭოს შორის წარმოდგენილია წესდების მე-10, მე-11 და მე-12 მუხლებში.

წესდება ასევე მოიცავს სხვა მართვის ორგანოების - რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის როლის, ფუნქციის და პასუხისმგებლობების დეტალურ აღწერას. თითოეული მათგანის ფუნქციები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის განსაზღვრული და გამიჯნული უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების დებულებებში.

უნივერსიტეტის მართვის ორგანოების არჩევის / დანიშვნის პროცედურები კარგად არის განსაზღვრული, გამჭვირვალეა და შეესაბამება შიდა რეგულაციებს და საქართველოს კანონმდებლობას. უნივერსიტეტის მართვის ორგანოების არჩევის / დანიშვნისთვის შემუშავებულია წინასწარ განსაზღვრული მოთხოვნები.

წესდების თანახმად:

აკადემიური საბჭო აირჩევა 4 წლის ვადით, მასში შედის თითოეული ფაკულტეტის 2 წარმომადგენელი და დამოუკიდებელი სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის 1 წარმომადგენელი. აკადემიური საბჭოს წევრები აირჩევიან აკადემიური პერსონალის ყველა წევრის და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ. პირი შეიძლება არჩეული იყოს აკადემიური საბჭოს წევრად ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. აკადემიური საბჭოს წევრი შეიძლება იყოს პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. წესდებაში ასევე განსაზღვრულია აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლები (მუხლი 7).

წარმომადგენლობითი საბჭო აირჩევა 4 წლის ვადით უნივერსიტეტის ფაკულტეტებიდან, სტუდენტების და აკადემიური პერსონალის წარმომადგენლების მიერ ცალ - ცალკე, არჩევნების დროისთვის ფაკულტეტების რაოდენობის პროპორციულად. მასში შედის თითო სამეცნიერო წევრი თითოეული დამოუკიდებელი სამეცნიერო - კვლევითი სტრუქტურული ერთეულიდან და ბიბლიოთეკის დირექტორი. წევრი სტუდენტები უნდა შეადგენდნენ საერთო წევრების რაოდენობის 1/3 -ს. წესდებაში განსაზღვრულია დანიშვნის და სტატუსის შეწყვეტის დეტალები (მუხლი 10).

რექტორი აირჩევა 4 წლის ვადით აკადემიური საბჭოს მიერ. წესდებაში განსაზღვრულია ყველა პროცედურული საკითხი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები (მუხლი 14). არჩევნებამდე აკადემიური საბჭო აფასებს თითოეული კანდიდატის მიერ წარდგენილ სამოქმედო გეგმას.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი აირჩევა 4 წლის ვადით წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ. ერთი და იგივე კანდიდატი შეიძლება არჩეულ იქნეს ორჯერ. წესდებაში აღწერილია ყველა შესაბამისი პროცედურა (მუხლი 15).

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი აირჩევა წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ აკადემიური საბჭოს წარდგინებით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ინიშნება 4 წლის ვადით, მოთხოვნები აღნიშნული თანამდებობისთვის განისაზღვრება აკადემიური საბჭოს მიერ.

ასევე განსაზღვრულია ფაკულტეტების მართვის ორგანოებში შერჩევის / დანიშვნის პროცედურები და შესაბამისი მოთხოვნები.

ზემოთ განხილული ყველა პროცედურა გამჭვირვალეა, სამართლიანი და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებს. უნივერსიტეტის მართვის ორგანოები მოიცავს ყველა აკადემიურ, სამეცნიერო და ადმინისტრაციულ საკითხს უნივერსიტეტის და ფაკულტეტის დონეზე, და მართვის ორგანოს გადაწყვეტილებები, რომლებიც უკავშირდება აკადემიურ, სამეცნიერო და ადმინისტრაციულ საკითხებს, მიიღება დროულად და ეფექტურად.

სოხუმის სახელწმიფო უნივერსიტეტი აწარმოებს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრს, როგორც ეს აღწერილია მოქმედ კანონმდებლობაში, გააჩნია ეფექტური გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულებაში მიმდინარე ყველა მთავარი ბიზნეს პროცესის უწყვეტობას და ითვალისწინებს ყველა შესაძლო რისკს, მათი პრევენციის და შემცირების მექანიზმებს. ელექტრონული პლატფორმა StudLab განკუთვნილია რესურსების ელექტრონული მართვისთვის და შექმნილია მონაცემთა ბაზასთან სამუშაო ინტერფეისი, რაც საშუალებას აძლევს მომხმარებლებს მარტივად შეიტანონ და მიიღონ ინფორმაცია მონაცემთა ბაზის საშუალებით. საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი უზრუნველყოფს საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ადმინისტრირებას და ხელმისაწვდომობას. (ასევე იხილეთ კომპონენტი 7.3)

უნივერსიტეტის დოკუმენტი "პერსონალის მართვის პოლიტიკის ზოგადი პრინციპები" მიზნად ისახავს საგანმანათლებლო პროცესით და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელებას. აღნიშნული პოლიტიკა, რომელიც პირდაპირ მოიცავს სტრუქტურულ ერთეულებს და საშტატო განრიგს, დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ეფექტურ მართვას. აღნიშნული პოლიტიკა აერთიანებს უნივერსიტეტს პროფესიულ პრაქტიკაში: სამართლიანობა და პატიოსნება; გუნდური მუშაობა;
საჯაროობა და თანასწორობა (დანართი 4.1) ეფექტურობის ერთ მაგალითს წარმოადგენს , სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რისკების მართვის სტრატეგიის განსაკუთრებული დეტალიზება: "დაყოვნებების თავიდან აცილება და ქონების დაცვა; რისკის წარმოქნის დროს განსახორციელებელი პროცედურები და ინციდენტებზე დაგეგმილი რეაგირება" (ბიზნეს უწყვეტობის გეგმა, 4) გამოხატავს ეფექტური და ქმედითი მართვის მისაღწევად მკაფიო და პროაქტიულ მიდგომას.

სტრუქტურული ერთეულები ურთიერთთანამშრომლობენ და ერთიანდებიან უნივერსიტეტის სამომავლო განვითარების და მუდმივი მიღწევების მიზნით.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი მტკიცედ უჭერს მხარს ინტერნაციონალიზაციას და ინსტიტუციური თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით შემუშავებული აქვს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა. აღნიშნული პოლიტიკა დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ და უნივერსიტეტი 2018 წლიდან ხელმძღვანელობის აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტით. პოლიტიკა განსაზღვრავს ინტერნაციონალიზაციის მექანიზმებს, რომლებიც მოიცავს ინტერნაციონალიზაციის პროცესის მხარდამჭერ ყველა მნიშვნელოვან ასპექტს (დანართი 2.6. - ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა). ქვემოთ წარმოდგენილია საერთაშორისო მექანიზმების საილუსტრაციო ჩამონათვალი, რომლებიც სხვა საკითხებთან ერთად წარმოადგენს:

უცხოელი სტუდენტებისთვის სოციალურ - კულტურული ადაპტაციის პირობების შექმნა; აკადემიურ და სამეცნიერო პროცესებში უცხოელი პროფესორების ჩართვა; საერთაშორისო მასშტაბის სტუდენტური ღონისძიებების ორგანიზება; უცხო ენებზე სახელმძღვანელოების და სხვა დამხმარე ლიტერატურის შემუშავება და გამოცემა; გაწევრიანება არსებულ საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო ქსელებში; ხელშეკრულებების გაფორმება უცხოურ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან; საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ფონდებთან ურთიერთობების გაძლიერება; ფაკულტეტის დონეზე საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება; მასწავლებლების, მეცნიერების და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართვა გაცვლით პროგრამებში; საზღვარგარეთ სტაჟირებაზე მყოფი სტუდენტების უცხო ენის ცოდნის ერთიანი სისტემის შეფასება; საერთაშორისო აკადემიური მობილობის მხარდამჭერი სასტიპენდიო პროგრამების რაოდენობის გაზრდა; საერთაშორისო პროგრამების, უცხოენოვანი პროგრამების და ორმაგი ხარისხის პროგრამების ხელშეწყობა; უცხოელი პროფესორების რაოდენობის გაზრდა; უნივერსიტეტის ავტორიტეტის გაძლიერების მიზნით უცხოურ გამოვემებში სამეცნიერო კვლევების მიმართულებით უნივერსიტეტის პროფესორების პუბლიკაციების რაოდენობის გაზრდა.

რაც შეეხება სოხუმის სახელწმიფო უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმას (2018 - 2025), 4 დაკავშირებულ ამოცანაში წარმოდგენილია ინტერნაციონალიზაცია და მისი ურთიერთობების გაფართოება, როგორც უნივერსიტეტის მთავარი სტრატეგიული მიმართულება: საერთაშორისო არენაზე უნივერსიტეტის ცნობადობის გაზრდა; საგანმანათლებლო და სამეცნიერო -კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობის გაღრმავება; საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია და ერთობლივი და ორმაგი ხარისხის პროგრამების შემუშავება; ევროპულ საგანმანათლებლო გარემოში ინტეგრაციის მიზნით სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მხარდაჭერა. აღნიშნული ამოცანების შესრულების ფარგლებში განსაზღვრულია შესაბამისი დეპარტამენტები: საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური; კულტურათაშორისი ურთიერთობების სამსახური; საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური; სამეცნიერო კვლევების და განვითარების დეპარტამენტი; იურიდიული სამსახური და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ფაკულტეტებთან ერთად აღნიშნული სტრუქტურული ერთეულები მიჩნეულია სტრატეგიული მიმართულების უზრუნველმყოფ მთავარ პასუხისმგებელ ორგანოებად.

თუმცა, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა (რომელიც განსაზღვრავს ინტერნაციონალიზაციის მეტ მექანიზმს) და სტრატეგიული გეგმები (2018 - 2025; 2025 - 2031) უფრო მჭიდროდ უნდა იყოს ერთმანეთთან დაკავშირებული. მეტი სიცხადე იქნებოდა მიღწეული, თუ "პერსონალის მართვის პოლიტიკის ზოგადი პრინციპების" დოკუმენტი გაიმიჯნებოდა უნივერსიტეტის და ფაკულტეტის დონის მიხედვით. აღნიშნული დააზუსტებს კონკრეტულ ქმედებებს, რომლებიც უნდა განახორციელოს უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხელმძღვანელობამ, ასევე გაამარტივებს პასუხისმგებლობების და ვალდებულებების მონიტორინგის და შეფასების პროცესს.

ზოგიერთი მექანიზმი უნდა ჩამოყალიბდეს უფრო ძლიერი საერთაშორისო ორიენტაციით. მაგალითად, ინტერნაციონალიზაციის კონტექსტში უკეთესი იქნებოდა საერთაშორისო მასშტაბის სტუდენტური ღონისძიებების ორგანიზების აღნიშვნა. სხვა მაგალითებში შედის პერსონალის კვალიფიკაციის დონის ამაღლება საერთაშორისო პროექტების მართვაში და უნივერსიტეტის ბრენდის განვითარება უცხოელი სტუდენტების მოსაზიდად.

დოკუმენტი მოიცავს ინტერნაციონალიზაციის შეფასების ძირითად ინდიკატორებს. მეტი სიზუსტის უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია თითოეულ მექანიზმთან მიმართებით აღნიშნული ინდიკატორების მითითება. მაგალითად:

მექანიზმი: მასწავლებლების, მეცნიერების და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართვა გაცვლით პროგრამებში.

შეფასების ინდიკატორი: გაცვლითი პროგრამების რაოდენობა, რომლებშიც ჩართული იყვნენ მასწავლებლები, მეცნიერები და ადმინისტრაციული პერსონალი.

ტექსტის ასეთი მოწყობა უზრუნველყოფდა ყველა მექანიზმის განმარტებას და ფუნქციას. გარდა ამისა, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტების განხორციელებაზე პასუხისმგებელი კონკრეტული დეპარტამენტების ან სამსახურების მითითება გაამარტივებდა შედეგების მონიტორინგს და გაზომვას.

სტანდარტული მოთხოვნების თანახმად, უსდ - მ უნდა განახორციელოს დაწესებულების საქმიანობაში ინტერნაციონალიზაციის შედეგების ინტეგრირება. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტში განსაზღვრულია დაწესებულების ინტერნაციონალიზაციის შეფასების ინდიკატორები, მაგრამ არ არის წარმოდგენილი აღნიშნული მონაცემების შემდგომ განვითარებაში გამოყენების პროცედურა.

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა ამჟამად ხელმისაწვდომია როგორც პერსონალისთვის, ისე სტუდენტებისთვის. ინგლისური ენის უკეთესი კომპეტენცია უდავოდ გააუმჯობესებდა მდგომარეობას.

მიუხედავად ამისა, ინტერნაციონალიზაცია იქცა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განსაკუთრებულ ბრენდად.

მტკიცებულება/ინდიკატორები:

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, გაიყოს "პერსონალის მართვის პოლიტიკის ზოგადი პრინციპების" დოკუმენტი უნივერსიტეტის და ფაკულტეტის დონის მექანიზმებად.

რეკომედებულია, მექანიზმები შემუშავდეს (ზემოაღნიშნული) უფრო ძლიერი საერთაშორისო ორიენტაციით.

პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს ინტერნაციონალიზაციის შეფასების ძირითად ინდიკატორებს. მიუთითეთ აღნიშნული ინდიკატორები თითოეულ მექანიზმთან მიმართებით. მაგალითად:

მექანიზმი: მასწავლებლების, მეცნიერების და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართვა გაცვლით პროგრამებში.

შეფასების ინდიკატორი: გაცვლითი პროგრამების რაოდენობა, რომლებშიც ჩართული იყვნენ მასწავლებლები, მეცნიერები და ადმინისტრაციული პერსონალი.

რჩევები:

უზრუნველყავით სტუდენტების ჩართულობა ახალი პროგრამების შემუშავების პროცესში. აღნიშნულ პროცესში უკვე მონაწილეობენ კურსდამთავრებულები.

საუკეთესო პრაქტიკა(ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

o ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- o უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- o უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

უნივერსიტეტმა წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი სახელწოდებით: "ხარისხის უზრუნველყოფის შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები." ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის, სამეცნიერო მუშაობის, პერსონალის შეფასებებს და დაინტერესებული მხარეების დამოკიდებულებების შეფასებას. თითოეული მიმართულების შეფასება მოიცავს სპეციფიკურ კრიტერიუმებს (დანართი 2.7):

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება მოიცავს სასწავლო გეგმების და მათი სტრუქტურული ელემენტების შეფასებას, როგორიც არის მოდულები ან სასწავლო კურსები. ზემოაღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრულია აღნიშნული შეფასების თვისობრივი და რაოდენობრივი ინდიკატორები და შედეგები გამოიყენება პროგრამების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები და შემდგომი განხილვისთვის წარედგინა აკადემიურ და ფაკულტეტის საბჭოებს.

სასწავლო პროცესის შეფასება მოიცავს სასწავლო პროცესის ადეკვატურობის და ყველა ჩართული მხარის აკადემიური მოსწრების შეფასებას; სამეცნიერო საქმიანობის შეფასება მოიცავს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო კომპეტენციის და პროდუქტიულობის შეფასებას; სამეცნიერო ინფრასტრუქტურის შეფასებას; პერსონალის შეფასება მოიცავს პერსონალის სწავლების და სამეცნიერო კომპეტენციის შეფასებას; დაინტერესებულ მხარეთა დამოკიდებულებების შეფასება მოიცავს სტუდენტების, აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების შეფასებას.

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი (ზემოაღნიშნული შესაძლებლობები) მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან მახასიათებლებს; თუმცა, შესაძლებელია დოკუმენტის უკეთ ორგანიზება და მკაფიოდ სტრუქტურირება

შემდეგი ფუნდამენტური საკითხების გარშემო: ხარისხის უზრუნველყოფის სფეროების (ძირითადი მიმართულებების) მონახაზი. მაგალითად: აკადემიური, სამეცნიერო ან ადმინისტრაციული; მიმართულების დავიწროება - მაგალითად: აკადემიური ქოლგის ქვეშ - საგანმანათლებლო პროგრამები, სამეცნიერო ქოლგის ქვეშ - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. შემდგომ განსაზღვრეთ ხარისხის უზრუნველყოფის კონკრეტული მექანიზმები და მიუთითეთ აღნიშნულ მექანიზმთან დაკავშირებული შეფასების კონკრეტული კრიტერიუმები. მაგალითად: ძირითადი კურსების შეფასება (მექანიზმი) და ძირითად კურსზე ჩარიცხული სტუდენტების აკადემიური მოსწრება (კრიტერიუმები).

აღნიშნულის შემდეგ თითოეული კრიტერიუმისთვის შესაძლებელია განისაზღვროს შეფასების ინსტრუმენტები (თვისობრივი / რაოდენობრივი). მაგალითად: თავდაპირველად შეაფასეთ კურსზე ჩარიცხული სტუდენტების აკადემიური მოსწრების რაოდენობრივი მაჩვენებლები, შემდეგ სტუდენტების დაბალი აკადემიური მოსწრების მიზეზების დასადგენად გამოიყენეთ თვისობრივი ინსტრუმენტები (ინტერვიუები, ფოკუს ჯგუფები).

შემდეგ უნდა გადაწყდეს, თუ როგორ უნდა იყოს გამოყენებული აღნიშნული მონაცემები; რა კონკრეტული ქმედებები ხორციელდება აღნიშნული შეფასების საფუძველზე. დოკუმენტში ასევე უნდა განისაზღვროს, თუ რომელი სამსახურები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გარდა, იღებენ მონაწილეობას ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში. გარდა ამისა, უნდა შემუშავდეს ხარისხის უზრუნველყოფის სხვადასხვა სფეროში შეფასებების განხორციელების განრიგი, რომელიც დაადგენს მტკიცებულებების შეგროვების, კვლევების და ანგარიშგების სიხშირეს. აღნიშნული ფორმატი უზრუნველყოფს ინფორმაციის კარგად სტრუქტურირებას, რაც გამორიცხავს დამატებითი კვლევის საჭიროებას.

არსებული მდგომარეობით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოქმედებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე" ციკლის გამოყენებით და ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული და საერთაშორისო სააგენტოების და ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების და ექსპერტების მიერ შემუშავებულ ყველა რეკომენდაციას და დოკუმენტაციას. შიდა დონეზე, სამსახურის საქმიანობა უნივერსიტეტის მასშტაბით სისტემატურად უზრუნველყოფს სახელმძღვანელო მითითებებს და შეიმუშავებს დოკუმენტებს, რომლებიც რეკომენდებულია უნივერსიტეტის ყველა აკადემიური სტრუქტურისთვის, რაც საშუალებას აძლევს თითოეულ სტრუქტურულ ერთეულს განახორციელოს უნივერსიტეტის მიზნები და ამოცანები.

სამსახურის მიერ განხორციელებული სისტემატიური შეფასებების შედეგები ხელმისაწვდომია როგორც უნივერსიტეტის მასშტაბით, ასევე საჯაროდ - ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის და მხარისთვის.

თითოეულ ფაკულტეტზე ორი ხარისხის წარმომადგენელი კოორდინირებას უწევს ფაკულტეტის შეფასებების ფართო სპექტრს. ისინი წარმოადგენენ ფაკულტეტის დამაკავშირებელ ძალას ფაკულტეტის დეკანებს და უნივერსიტეტის ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახურს შორის. წარმომადგენლები აანალიზებენ კითხვარების შედეგებს და სტუდენტებისგან პირისპირ მიღებულ ინფორმაციას. აკადემიურმა პერსონალმა უნდა წარადგინოს საკუთარი მოსაზრებები პროგრამების, სწავლების და სწავლის ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ. ხორციელდება აღნიშნული ინფორმაციის ანალიზი, დამუშავება და შემდგომ გადაეცემა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, რომელიც აწვდის უკუკავშირს ხელმძღვანელობას და თითოეულ ფაკულტეტს ფაკულტეტის დეკანების მიერ საერთო წლიური ანგარიშის მომზადებისას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების თანახმად, ფაკულტეტებს აკისრიათ ვალდებულება მოამზადონ პერიოდული ჩანაწერები და წარუდგინონ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. გასაუბრების პროცესში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, თუ როგორ ხორციელდება პროგრამების შეფასება საფეხურების მიხედვით: საბაკალავრო პროგრამები ყოველ 5 წელიწადში; სამაგისტრო პროგრამები ყოველ 3 წელიწადში და სადოქტორო პროგრამები ყოველ 4 წელიწადში. ხარისხის საერთო სამოქმედო მექანიზმები აღწერილი იყო, როგორც სტუდენტებთან, ისე აკადემიურ პერსონალთან განხორციელებული ჯანსაღი დისკუსიების ფარგლებში.

ზემოაღნიშნული დებულების თანახმად, უნივერსიტეტში სწავლების და კვლევის ხარისხის ხელშეწყობის მიზნით, დაწესებულების ხელმძღვანელობა გადაწყვეტილებებს იღებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებზე დაყრდნობით. შეფასების შედეგები გამოიყენება უნივერსიტეტის და ფაკულტეტების შემდგომი განვითარების მიზნით.

ზემოაღნიშნული გზებით, კოორდინირებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე" ციკლი უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საქმიანობის და მისი რესურსების უწყვეტ შეფასებას და უზრუნველყოფს რეგულარულ და მიზანმიმართულ კავშირს ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს შორის.

თვითშეფასების ანგარიშში (2.2 შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები) აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტმა ახლახანს განაახლა შეფასების მიდგომები თანამედროვე ონლაინ ტექნოლოგიების დანერგვით და მონაცემების ყოვლისმომცველი ანალიზის გამოყენებით. ასევე შემუშავდა დამხმარე დოკუმენტაცია ხარისხის უზრუნველყოფაში ყველა სტრუქტურული ერთეულის ეფექტური ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფისთვის წარმოდგენილი პოლიტიკის დოკუმენტი (ზემოაღნიშნული შესაძლებლობები) თარიღდება 2018 წლით და არ ასახვს მკაფიოდ განხორციელებულ ცვლილებებს.

უნივერსიტეტს ასევე გააჩნია სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის დოკუმენტი სახელწოდებით "სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმები, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულები". თუმცა, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გარდა, უნივერსიტეტმა უნდა განსაზღვროს "გარე" მექანიზმებიც. შიდა და გარე მექანიზმები ყოველთვის უნდა იყოს განვითარებაზე ორიენტირებული.

სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ხარისხის ციკლები ჩვეულებრივ იხურება, რადგან ისინი ყოველთვის იღებენ პასუხს პროგრამების, სწავლების და სწავლის შესახებ გაცემული რეკომენდაციების შესახებ. დამსაქმებლებმა დაადასტურეს მათი ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფაში. შეფასებითი თვალსაზრისით, ისინი მონაწილეობდნენ ციფრული განათლების და ტრენინგების უმაღლესი დონის მოთხოვნებში და სტუდენტების აკადემიური აქცენტის მხარდასაჭერად მეტი პრაქტიკული გამოცდილების მოთხოვნებში. ერთ - ერთმა დაინტერესებულმა მხარემ - დამსაქმებელმა ხარისხის საკითხად მიიჩნია სტუდენტების ინტერესები კონკრეტული ისტორიის წიგნებისადმი უფრო მაღალი დონის მოთხოვნა და აღიარა, რომ უნივერსიტეტმა შექმნა აღნიშნული წიგნები კარგი პოლიტიკური მიზეზების გამო. მისი მოსაზრებით, ვინაიდან აფხაზებს და ქართველებს ჰქონდათ საერთო ისტორია, აღნიშნული კულტურა მიუკერძოებლად უნდა ასახულიყო წიგნებში, რომლებიც ხელს შეუწყობდა კონფლიქტის პოლიტიკურ მოგვარებას. ასევე კურსდამთავრებულებმა დადებითად შეაფასეს ხარისხის საკითხები და განაცხადეს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფდა მათ ჩართულობას ახალი პროგრამების შემუშავების პროცესში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან და სხვა პერსონალთან გასაუბრების დროს არ იყო აღნიშნული გამოკითხვების სიხშირე და ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასება, მიუხედავად იმისა, რომ "შესაძლებლობების" დოკუმენტში რეკომენდებულია აღნიშნული პერსონალის შეფასება. ზემოაღნიშნული "შესაძლებლობების" დოკუმენტი აღწერს აკადემიური პერსონალის შეფასებისთვის ხელმისაწვდომ მეთოდებს, რომელიც ითვალისწინებს შემდეგ ფორმებს: თვითშეფასება, კოლეგიალური შეფასება, სტუდენტების მიერ შეფასება, სტუდენტების აკადემიური მიღწევების შედეგები, სილაბუსების შემოწმება და დასწრება. რაც შეეხება ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასებას, ექსპერტთა ჯგუფი გასცემს რეკომენდაციას დაინერგოს ამჟამად განვითარებადი პირისპირ კოლეგიალური შეფასების მეთოდი, რომელიც მოქმედებს ზოგიერთ აკადემიურ პერსონალთან მიმართებით.

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი "ხარისხის უზრუნველყოფის შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები" მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან მახასიათებლებს; თუმცა, დოკუმენტი ჩამოყალიბებული უნდა იყოს ზემოაღნიშნულის შესაბამისად.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს დამატებითი დოკუმენტი სახელწოდებით: "სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულები". აღნიშნული დოკუმენტი, საჭიროების შემთხვევაში, უნდა უკავშირდებოდეს ზემოაღნიშნულ "შესაძლებლობების" დოკუმენტს. "შიდა" ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გარდა, რომლებიც ძალიან კარგად არის აღწერილი "შესაძლებლობებში", ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა უნდა განავითაროს და წარმოაჩინოს არსებული "გარე" ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და ასევე უზრუნველყოს, რომ შიდა და გარე მექანიზმები ყოველთვის ორიენტირებულია განვითარებაზე.

ხარისხის ციკლის დახურვასთან დაკავშირებით, წარმოდგენილი უნდა იყოს რამდენიმე მაგალითი იმ ციკლების მაგალითებთან ერთად, რომლებიც არ იხურება ხარისხის კარგი

მიზეზების გამო, როგორც ეს განხილულ იქნა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან გასაუბრების დროს. ზემოაღნიშნული რეკომენდაციების გარეშეც კი, დოკუმენტი: "ხარისხის უზრუნველყოფის შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები" ასახავს მრავალ შესანიშნავ ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციას, პრაქტიკას, თავდაჯერებულ მიმართულებას და ხელმძღვანელობას. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფას სერიოზულად უდგებიან როგორც თანამშრომლები, ისე სტუდენტები. იმის გამო, რომ თავლსაჩინოა ზრუნვა და კოლექტიური პასუხისმგებლობა სტუდენტების და მათი განვითარების მიმართ, აღნიშნული წარმოადგენს მთავარ მიზეზს, რის გამოც უნივერსიტეტი ამტკიცებს, რომ თითოეულ სტუდენტს აქვს მაღალი ხარისხის განათლების მიღების შესაძლებლობა. აღნიშნული ფართო და საქებარი ხარისხის სამსახურის გარდა (რომელიც აღნიშნულია წინა აბზაცში), სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი არ აღწერს "კონკრეტულ მექანიზმს" სტუდენტთა კონტინგენტისთვის, რომელიც მიმართული იქნება თითოეული მათგანის მაღალი ხარისხის განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფაზე.	
მტკიცებულებები/ინდიკატორები	

რეკომენდაციები:

2018 წლის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი "ხარისხის უზრუნველყოფის შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები" მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან მახასიათებლებს. უზრუნველყავით დოკუმენტის ორგანიზება და სტრუქტურირება ზემოთ მოცემული ნარატივის შესაბამისად.

დააკავშირეთ ზემოთ აღნიშნული "შესაძლებლობების" დოკუმენტი "სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის და სამიზნე ნიშნულების მექანიზმის" დოკუმენტთან.

განავითარეთ და აღწერეთ არსებული "გარე" ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და უზრუნველყავით, რომ შიდა და გარე მექანიზმები ყოველთვის ორიენტირებული იყოს განვითარებაზე.

მოიყვანეთ ციკლის დახურვის რამდენიმე მაგალითი და ასევე იმ ციკლების მაგალითები, რომლებიც არ იხურება ხარისხის მიზნებიდან გამომდინარე, როგორც განხილული იყო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან გასაუბრების დროს.

რეკომენდებულია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს ინდივიდუალური კოლეგიალური შეფასების პრაქტიკის გაგრძელება და განვითარება და მისი გავრცელება და განვითარება ადმინისტრაციული პერსონალისთვის.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

ჯანსაღი, მტკიცე ინსტიტუციური ურთიერთგაცვლა ხარისხის უზრუნველყოფაში.

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ეთიკის კოდექსი, რომელიც განკუთვნილია აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისთვის, ასევე მოწვეული ლექტორებისთვის და სტუდენტებისთვის. უნივერსიტეტის ღირებულებების, კანონმდებლობისდა სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად, კოდექსი განსაზღვრავს აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, მოწვეული ლექტორების და სტუდენტების ქცევით ნორმებს, ასევე წარმოქმნილი ეთიკური საკითხების გადაჭრის შესაძლო გზებს. როგორც კოდექსშია მითითებული, სტრუქტურა შემუშავდა ყველა დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციების და იდეების გაცვლის გზით. კოდექსი დამტკიცდა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-4 სხდომის N4/2 გადაწყვეტილებით 2014 წლის 7 მარტს. კოდექსში აღნიშნულია, რომ "უნივერსიტეტი ეთიკის კომისიის - აკადემიური საბჭოს მიერ წარდგენილი და წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული წევრების სპეციალური ჯგუფის მეშვეობით - რეგულარულ რეჟიმში განახორციელებს კოდექსით დადგენილი ნორმების შესრულების მონიტორინგს და მიიღებს ადეკვატურ ზომებს არაეთიკური ქმედებების შემთხვევაში".(1e)

როგორც კოდექსშია აღნიშნული, აკადემიური პერსონალის და მოწვეული ლექტორების მიერ ეთიკური ნორმების დარღვევის შემთხვევაში გამოიყენება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესით და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით დადგენილი ზომები. კოდექსის ნაწილში (3.5.1) აღნიშნულია, რომ "ეთიკის კოდექსით დადგენილი ნორმების განმეორებითი დარღვევების ან დისციპლინური გადაცდომების სიმძიმის შესაბამისად პროპორციულად იზრდება პირის პასუხისმგებლობა". (აღნიშნული განცხადება მკაფიოდ არ წარმოაჩენს, თუ როგორ იზომება გადაცდომის დონე პროპორციული პასუხისმგებლობის დასადგენად, ასევე რა სახის დისციპლინური გადაცდომებია განსაზღვრული და რა გარემოებებში). თუმცა, როგორც თვითშეფასების ანგარიშშია აღნიშნული, კოდექსი მოქმედებს სხვა დოკუმენტებთან ერთად, რომლებიც ეხება შიდა რეგულირებას, სადაც განსაზღვრულია დისციპლინური გადაცდომები (მუხლი 35, შინაგანაწესი).

უნივერსიტეტს გააჩნია აკადემიური ეთიკის და აკადემიური დისციპლინის მექანიზმი. პლაგიატი და ფალსიფიკაცია მიჩნეულია აკადემიური ეთიკის დარღვევის ფორმებად. აღნიშნული ქმედებების თავიდან აცილების მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს შესაბამის პროცედურებს და მექანიზმებს, რომლებიც მოცემულია კოდექსში, მათ შორის პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამას (დანართი 2.12). ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალი ზედამხედველობს სტუდენტების ნაშრომების შემოწმებას პლაგიატის აღმოჩენის მიზნით.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი შესაბამის დოკუმენტებში (მისია და წესდება) აღნიშნავს პრინციპებს აკადემიური თავისუფლების დაცვის და განათლების, როგორც კაცობრიობის ფუნდამენტური ღირებულების უზრუნველყოფას.

ექსპერტთა ჯგუფმა აკადემიური თავისუფლების საკითხი განიხილა ყველა გამოკითხულ პირთან, მათ შორის სტუდენტებთან, რომლებმაც აღნიშნული პრინციპი დაადასტურეს

თავიანთი სრული აკადემიური თავისუფლების დეკლარირებით. ეთიკის კომისიას არასდროს განუხილავს აკადემიურ თავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხი. ეთიკის კომისია იკრიბება მხოლოდ მაშინ, როდესაც წარმოდგენილია განსახილველი საკითხები. ეთიკის კოდექსი გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე.
მტკიცებულება/ინდიკატორები

რეკომენდაციები:
რჩევები: მიუხედავად იმისა, რომ ეთიკის კომისია იშვიათად იკრიბება, კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ყოველწლიური ანგარიშის მომზადება თემაზე "ეთიკის ზოგადი ტენდენციები ევროპულ უმაღლეს განათლებაში" ან მსგავს თემაზე, იმისათვის, რომ ეთიკის კომისი იყოს აქტიური და პროაქტიული უნივერსიტეტის პერსონალის თვალში.
საუკეთესო პრაქტიკა(ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი მკაცრად და საყოველთაოდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპს.
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. 3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებიც შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებს და ხედვას. ამჟამად უნივერსიტეტში ხორციელდება 56 საგანმანათლებლო პროგრამა, საიდანაც აკრედიტებულია 46 პროგრამა, მათ შორის 24 საბაკალავრო (ყველა აკრედიტებული), 20 სამაგისტრო (11 აკრედიტებული) და 10 სადოქტორო (ყველა აკრედიტებული) პროგრამა. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 5 ფაკულტეტი, რომლებიც ახორციელებენ 56 საგანმანათლებლო პროგრამას ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის დონეზე, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას (60 კრედიტი - აკრედიტებული) და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას (60 კრედიტი - აკრედიტებული).

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას გააჩნია "სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა/დოქტორანტურა) პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების და გაუქმების მეთოდოლოგია". აღნიშნული მეთოდოლოგია აღწერს სასწავლო გეგმის სტრუქტურას, სემესტრულ გეგმას, პროგრამას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიას და საგანმანათლებლო პროგრამების განახლების მექანიზმების მოქმედების პროცედურას. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პროგრამის შეცვლის / გაუქმების შემთხვევაში სტუდენტთა სამართლებრივი ინტერესების დაცვის მექანიზმები, რაც სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს ეფექტურად დაასრულოს პროგრამა.

წესი ასევე მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამების პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მექანიზმებს. დაწესებულება პროგრამების განხორციელების საწყის ეტაპზე და მას შემდეგაც იყენებს შრომის ბაზრის კვლევის როგორც რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდოლოგიებს. პროგრამები ძირითადად შემუშავებულია საერთაშორისო ანალოგების საფუძველზე.

უნივერსიტეტს სტუდენტებისთვის, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პლატფორმა: StudLab.sou.ge. ელექტრონული პლატფორმა მოიცავს სტუდენტების და უნივერსიტეტის პერსონალის მონაცემთა ბაზებს, ასევე ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამების, კვლევითი კომპონენტების და სხვა საგანმანათლებლო რესურსების შესახებ. პლატფორმის მეშვეობით სტუდენტებს შეუძლიათ პლატფორმის მეშვეობით გაიარონ აკადემიური რეგისტრაცია და მიიღონ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვადასხვა ინფორმაცია. პროფესორებს და ადმინისტრაციას შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ სასწავლო პროცესის მართვაში. აღნიშნული პლატფორმის მეშვეობით ხორციელდება სტუდენტების გამოკითხვა და ანალიზი.

უნივერსიტეტი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებს, რომელთაც მოპოვებული აქვთ საკონკურსო საინოვაციო ფონდის, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის და სხვა საგრანტო პროექტების დაფინანსება. აღნიშნული პროექტები გამოიყენება პროგრამების განვითარებისთვის, სამეცნიერო - კვლევითი ლაბორატორიების დაარსებისთვის, ტექნიკური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისთვის და სხვა. დამატებით, უნივერსიტეტი აქტიურად მონაწილეობს Erasmus+ საგრანტო პროექტებში, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროგრამაში ახალი

კურსების შეტანას და აკადემიური პერსონალის და სტუდენტების სხვადასხვა უნარების განვითარებას.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის ან მათი გაუქმების რეგულაციები და პროცედურები. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით უნივერსიტეტს დანერგილი აქვს პრაქტიკული კომპონენტების ინტეგრაციის უზრუნველყოფის მექანიზმი, როგორც საერთაშორისო პროექტების, ისე ადგილობრივი ბიზნესის შესაძლებლობების გამოყენებით (მათ შორის საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, რუსთავის სასამართლო, სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკის და ტექნოლოგიის ინსტიტუტი, ფარმადეპო). უნივერსიტეტს კლასტერული მიდგომების გათვალისწინებით შემუშავებული აქვს პროგრამების განვითარების მექანიზმები - კერძოდ I კლასტერი - ქართული ფილოლოგია. აფხაზური ფილოლოგია: II კლასტერი - ინგლისური ფილოლოგია, გერმანული ფილოლოგია, რუსული ფილოლოგია; III კლასტერი - ისტორია, არქეოლოგია. აღნიშნულ პროცესებში ჩართულნი არიან სტუდენტები და დაინტერესებული მხარეები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების გაძლიერების მექანიზმი, როგორც წარმოდგენილ სტანდარტშია მითითებული.

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით, უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრამის შემუშავების პროცესში უნივერსიტეტი ითვალისწინებს ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის (ECTS) ძირითად პრინციპებს, ასევე საქართველოს კანონმდებლობას და უნივერსიტეტის რეგულაციებს. პროგრამების სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია იმგვარად, რომ შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების საფეხურზე მინიჭებულ კვალიფიკაციებს. კონკრეტული დარგის სწავლის შედეგები ეფუძნება დეტალური სფეროს აღმწერებს და შემუშავებულია კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად.

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს მისი კომპონენტების ლოგიკურ კავშირს და ითვალისწინებს თითოეული კომპონენტის თავისებურებებსა და მოთხოვნებს. დაგეგმილი სწავლის შედეგები და სტუდენტის დატვირთვა ეფუძნება პრინციპს, რომ საშუალო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტმა გონივრულ ვადაში უნდა მიაღწიოს პროგრამით განსაზღვრულ შედეგებს, რაც დასტურდება სტუდენტის აკადემიური მოსწრების ანალიზით. პროგრამებში კომპონენტების მოცულობა განისაზღვრება მათი შინაარსის, სწავლის შედეგების და დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სწავლების და სწავლის მეთოდები ითვალისწინებს დარგის სპეციფიკურ მახასიათებლებს, იმისათვის, რომ კონკრეტულ დროში უზრუნველყოს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა. სამართლის და ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს საგანმანათლებლო პროგრამები აგებულია შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლების მიხედვით. 2023 წელს კლასტერის ფარგლებში აკრედიტებულ იქნა ჰუმანიტარული სფეროს აკადემიური პროგრამები შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლების საფუძველზე.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებს 56 უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას, რომელთაგან 45 აკრედიტებულია. პროგრამების აკრედიტაცია იგეგმება კლასტერის ვადების გათვალისწინებით. თავის პროგრამებში, ძირითადი პროგრამების და დამატებითი პროგრამების გარდა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს არჩევით კურსებს, სავალდებულო არჩევით კურსებს, ძირითადი სფეროს არჩევით კურსებს და თავისუფალ კომპონენტებს. საბაკალავრო პროგრამები, სამართლის და ფარმაციის გარდა, აგებულია ძირითადი და დამატებითი პროგრამების და თავისუფალი კომპონენტების კომბინირებით, რომლებიც თავის მხრივ მოიცავენ სპეციალობის სავალდებულო, სპეციალობის არჩევით და თავისუფალ სასწავლო კურსებს. სტუდენტების მიერ არჩეულ კურსებთან დაკავშირებით სტუდენტები სარგებლობენ კონსულტაციებით ფაკულტეტის დეკანატებში და აკადემიურ დეპარტამენტებში.

სხვადასხვა პროგრამაში აღწერილი სწავლება - სწავლის მეთოდები ითვალისწინებს დარგობრივ მახასიათებლებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო სისტემის შესაბამისად, თითოეული სტუდენტი უზრუნველყოფილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი უზრუნველყოფს დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ დაინტერესებული პირების

ინფორმირებას. პროგრამაში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად ხორციელდება კატალოგის განახლება. კატალოგი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის და გამოქვეყნებულია დაწესებულების ვებ - გვერდზე. როგორც განხორციელებული გასაუბრებებიდან და წარმოდგენილი მასალებიდან გამოირკვა, პერსონალიზებული საგანმანათლებლო პროგრამები განსხვავებული მოთხოვნების მქონე სტუდენტებს სთავაზობს სწავლება - სწავლის და შეფასების შესაბამის ფორმატებს და პირობებს. აღნიშნული მოიცავს: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებს; განსხვავებულ აკადემიურ მზაობას, ასევე ადაპტირებული გარემოს და შესაბამისი ადამიანური რესურსების შესაძლებლობებს, საჭიროების შემთხვევაში.

უნივერსიტეტი აღიარებს სტუდენტთა მრავალფეროვნებას და მოწოდებულია უზრუნველყოს მოქნილი და ადაპტირებული საგანმანათლებლო გარემო. ინფორმაცია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ საჯაროა და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის. უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის განახლება ნებისმიერი ცვლილების ასახვის მიზნით და განთავსებულია ვებ - გვერდზე www.sou.edu.ge როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტს გააჩნია სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში აღწერილია შეფასების მეთოდოლოგიები. სასწავლო კომპონენტების სილაბუსებში აღწერილი შეფასების სისტემა შეესაბამება უნივერსიტეტის ზოგად წესებს. სასწავლო კომპონენტში სტუდენტს შეუძლია მოიპოვოს მაქსიმუმ 100 ქულა. უნივერსიტეტის წესის თანახმად, შუალედური შეფასების ზედა ზღვარი შეადგენს 60 ქულას, ხოლო მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 11 ქულას. დასკვნითი გამოცდის შემთხვევაში მაქსიმალური ქულა არის 40, ხოლო მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეიძლება მერყეობდეს 18 - დან 24 ქულამდე. საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების სპეციფიკის და მინიმალური კომპეტენციის ზღვრების გათვალისწინებით, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი უფლებამოსილია დაადგინოს განსხვავებული მინიმალური დადებითი შეფასება, რომელიც არ უნდა იყოს 51 ქულაზე ნაკლები და 60 ქულაზე მეტი. მარეგულირებელ წესი ასევე აღწერს კომბინირებული გამოცდების (ზეპირი და წერითი) ჩატარების ზღვრებს; კერძოდ, კომბინირებული გამოცდის შემთხვევაში გამოცდის ზეპირი ნაწილის შეფასება არ უნდა აღემატებოდეს გამოცდის საერთო შეფასების 50%-ს.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი აღწერს სამეცნიერო - კვლევით კომპონენტში სტუდენტის შეფასებას. აღნიშნული წყაროს მიხედვით, "აკადემიური ხარისხის მინიჭების მიზნით წარდგენილი სამაგისტრო და და სადისერტაციო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, საბოლოო შეფასებით, რომელიც მოიცავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული პირების შეფასებებს და დაცვაზე მიღებულ შეფასებას." სამაგისტრო და სადისერტაციო ნაშრომის შეფასების წესები მკაფიოდ არის აღწერილი სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტში, სასწავლო პროგრამებში და სილაბუსებში.

საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

დოქტორანტურის საფეხურზე სწავლების პროცედურები გაწერილია დოქტორანტურის მინიმალურ სტანდარტში. სადოქტორო პროგრამაში სასწავლო კომპონენტი შეადგენს 60 კრედიტს, დანარჩენი კი ეთმობა სადისერტაციო ნაშრომს.

სადოქტორო პროგრამების სტრუქტურის ნორმები აღწერილია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მარეგულირებელ დოკუმენტში - "სადოქტორო სწავლების მინიმალური სტანდარტი". აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, სადოქტორო სწავლების სასწავლო და კვლევითი კომპონენტები მიმართულია დოქტორანტის დარგობრივი და მეთოდოლოგიური უნარებისკენ; დოქტორანტი იღებს დახმარებას სადისერტაციო ნაშრომის დასრულებაში და ამზადებს მას სამომავლო პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისთვის. სადოქტორო პროგრამის საგანმანათლებლო კომპონენტი მოიცავს შემდეგ რეკომენდებულ აქტივობებს:

სწავლების თანამედროვე მეთოდები;

- აკადემიური წერა კვლევის მეთოდების კომპონენტებით / სადისერტაციო ნაშრომის წერა;
- სემინარი;

- პროფესორის ასისტენტობა;
- დარგობრივი სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები;
- პრაქტიკა;
- სადოქტორო პროგრამის სავალდებულო კვლევითი კომპონენტი მოიცავს სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობას, მის გაფორმებას და საჯარო დაცვას.

სადისერტაციო საბჭოები უფლებამოსილნი არიან განსაზღვრონ სწავლების და კვლევის კომპონენტები, შემადგენელი ელემენტების თანაფარდობა და ამა თუ იმ სასწავლო კურსის სტატუსი.

სადოქტორო პროგრამების საგანმანათლებლო კომპონენტების სილაბუსებში მკაფიოდ არის აღწერილი სწავლის შედეგები და ნათლად და გამჭვირვალედ არის წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს კონკრეტული კურსის ფარგლებში სასწავლო შინაარსის გამჭვირვალე და ობიექტურ შეფასებას.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცედურა უნიფიცირებულია და აღწერილია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის დოკუმენტში, კერძოდ მე-9, მე-10 და მე-11 მუხლებში. რეგულაციის თანახმად, პერიოდულად ხორციელდება სადისერტაციო ნაშრომის განმავითარებელი შეფასება. სადისერტაციო ნაშრომის დასრულების შემდეგ ნაშრომს აფასებს ორი ექსპერტი - ერთი გარე ექსპერტი და სადისერტაციო საბჭოს ერთი წევრი. ორივე ექსპერტის მიერ ნაშრომის დადებითად შეაფასების შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭო დანიშნავს სულ მცირე ორ რეცენზენტს. ერთი რეცენზენტი უნდა იყოს გარე ექსპერტი. რეცენზენტებმა უნდა შეაფასონ ნაშრომი ერთი თვის ვადაში. ექსპერტთა დადებითი შეფასების შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭო ნიშნავს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღს. სადისერტაციო საბჭოს თითოეული წევრი წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით ინდივიდუალურად წერს სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასებას, 100 - ქულიანი სისტემით. დისერტაციის შეფასებისთვის, სადისერტაციო საბჭოს მიერ შერჩეული ხმის დამთვლელ კომისიას გამოყავს ქულების საშუალო არითმეტიკული.

საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსების გაცნობის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფისთვის ნათელი გახდა, რომ სასწავლო კურსების ავტორები სარგებლობენ სრული აკადემიური თავისუფლებით და იყენებენ სწავლების სხვადასხვა მეთოდს - სასემინარო გამოკითხვებს, საშინაო დავალებებს, პრეზენტაციებს, რეფერატებს და ჯგუფურ პროექტებს. შეფასების მეთოდები და სწავლის შედეგების მიღწევის გზები გამომდინარეობს თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან (კონკრეტულად) და ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას (უფრო ფართო გაგებით). სილაბუსებში შეფასების კომპონენტების ქულობრივი სისტემა გამჭვირვალეა და ქულების რანჟირება ადეკვატურად არის განმარტებული. ამგვარად, შეფასების სისტემა უზრუნველყოფს თანაბარ და სამართლიან მიდგომებს.

ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და განვითარების მეთოდოლოგიის სამივე დოკუმენტში მითითებულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამა უნდა შედგებოდეს არა მხოლოდ დანართი 1 - ისგან (პროგრამის სტრუქტურა), არამედ დანართი 2 - ისგან (საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა) და დანართი 3 - ისგან (სასწავლო კურსის სწავლის შედეგების და პროგრამის

სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა - გაცნობა-1, გაღრმავება-2, განმტკიცება-3). მეთოდოლოგიის მიუხედავად, საგანმანათლებლო პროგრამების უმეტესობას არ გააჩნია დანართი 2, ხოლო ყველა საგანმანათლებლო პროგრამას არ გააჩნია დანართი 3. ექსპერტთა ჯგუფი მოითხოვს, რომ საგანმანათლებლო პროგრამები უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და განვითარების მეთოდოლოგიას და უნდა მოიცავდეს 1,2 და 3 დანართებს.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა 3.3 კომპონენტთან დაკავშირებული უნივერსიტეტის მტკიცებულებები. რამდენიმე პროგრამის შემთხვევაში, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება მხოლოდ სტუდენტთა გამოკითხვის მეშვეობით. მაგალითად, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შესაფასებლად წარმოდგენილია სტუდენტთა გამოკითხვა. აღნიშნული ვერ იქნება მიჩნეული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების სრულფასოვან შეფასებად. იგივე ეხება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ზოგიერთ საბაკალავრო პროგრამას (ინფორმატიკა, ეკოლოგია, გეოგრაფია, ქიმია). კერძოდ, აღნიშნულ პროგრამებში საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მტკიცებულებად წარმოდგენილია სტუდენტთა გამოკითხვები. ბიზნესის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ყველა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად წარმოდგენილია სტუდენტთა გამოკითხვები. საავტორიზაციოდ წარდგენილ მხოლოდ რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტი.

კერძოდ, წარმოდგენილია სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის - ბიოლოგიის, მათემატიკის და ფიზიკის საბაკალავრო პროგრამებისთვის და იურიდიული ფაკულტეტის - სამართლის სამაგისტრო პროგრამისთვის. თუმცა, სწავლის შედეგების შეფასების აღნიშნულ დოკუმენტებშიც, სწავლის შედეგები ფასდება უნიფიცირებული მიდგომით, კერძოდ ოთხი ინდიკატორის გამოყენებით. აღნიშნული ინდიკატორებია: პროგრამის კურსდამთავრებულების რაოდენობრივი მაჩვენებელი; პროგრამის კურსდამთავრებულების ხარისხობრივი მაჩვენებელი; პროგრამის კურსდამთავრებულების სამეცნიერო დასაქმების მაჩვენებელი (იმავე ან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელება მსგავსი სპეციალობის განათლების მომდევნო საფეხურებზე). საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში აღნიშნული არის: საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულების სამაგისტრო პროგრამაში ჩართულობის მაჩვენებელი და პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფის თვალსაზრისით, საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად საჭიროა აღნიშნულ ოთხ უნიფიცირებულ ინდიკატორზე მეტი. უმაღლესი განათლების სტანდარტების მიხედვით, სწავლის შედეგების მიღწევისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული დარგის სპეციფიკა და თავისებურებები. აღნიშნული მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში იმ სავალდებულო საგნების სწავლის შედეგებზე დაკვირვება, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეგულაციის მიხედვით, ასეთი საგნების ჩამონათვალი მოცემული უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამების მე-3 დანართში,

რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, წარმოდგენილი უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამებში.

ექსპერტთა ჯგუფმა დამატებითი დოკუმენტების მოთხოვნისას გამოითხოვა საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. უსდ - ს ადმინისტრაციამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა მოთხოვნილი დოკუმენტაცია, რომელშიც აღწერილია საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მონიტორინგის და შეფასების სქემა. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ "პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით." პირდაპირი შეფასების მეთოდები მოიცავს სტუდენტების მიერ შესრულებულ სხვადასხვა სახის და შინაარსის დავალებებს, ნაშრომებს და წერით ნამუშევრებს - რომელთა მეშვეობითაც მოწმდება, მიაღწია თუ არა სტუდენტმა პროგრამის სწავლის შედეგს (ტესტი, პრეზენტაცია, ესე, საკვალიფიკაციო ნაშრომი, გამოცდა, პრაქტიკის ანგარიში და ღია / დახურული კითხვა და ა.შ.).

არაპირდაპირი მეთოდები მოიცავს კონკრეტული კითხვარების მეშვეობით სტუდენტების თვითშეფასებას / გამოკითხვას და კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვებს. სტუდენტები მიიღებენ უკუკავშირს იმის შესახებ, თუ რამდენად მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგებს, რაც ასევე ნიშნავს, რომ პროგრამის მიზნებიც მიღწეულია, ვინაიდან პროგრამის თითოეული მიზანი უკავშირდება პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)ს.

საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი ასევე მოიცავს სავალდებულო საგნების დაკვირვების გეგმის ცხრილს, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. შესაბამისად, უნივერსიტეტს გააჩნია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მექანიზმი, რომელიც შეესაბამება უმაღლესი განათლების სტანდარტებს. თუმცა, ფაკულტეტები საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შესაფასებისას ეფექტურად არ იყენებენ აღნიშნულ მექანიზმს, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, ზოგიერთ შემთხვევაში რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მტკიცებულებად წარმოდგენილია მხოლოდ სტუდენტების გამოკითხვები.

ექსპერტთა ჯგუფი გასცემს რეკომენდაციას საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შესაფასებლად უფრო ეფექტურად იყოს გამოყენებული უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.

ზოგიერთი საგანმანათლებლო პროგრამისთვის, რომელსაც გააჩნია სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტი, გამოიყენება სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდები (სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვები).

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ინფორმირებულნი არიან იმის შესახებ, რომ მათ აქვთ მიღებული შეფასების გასაჩივრების შესაძლებლობა. გასაუბრებების დროს რამდენიმე სტუდენტმა აღნიშნა, რომ მათ გაასაჩივრეს შუალედური ან დასკვნითი გამოცდა. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გასაჩივრების მეთოდები, უსდ - ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტში (№05/01 - 172, 5.08.2014 - ბოლო ცვლილება განხორციელდა 2022 წლის 31 იანვარს) არ არის აღწერილი გასაჩივრების პროცედურები. ექსპერტთა ჯგუფი გაცსემს რეკომენდაციას, იმის

თაობაზე, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ, აღწეროს სტუდენტის შეფასების გასაჩივრების პროცედურები და დაამატოს აღნიშნული მონაცემები სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტში.

2018 წელს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია მე-3 სტანდარტთან დაკავშირებით, რომლის თანახმად, "უნივერსიტეტმა პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების სამი მეთოდოლოგიის დოკუმენტიდან უნდა გამოყოს მათში არსებული ზოგადი პრინციპები, იმისათვის, რომ შეიქმნას პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს მის მიდგომას საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და განვითარებისადმი აკადემიურ საბჭოში და წარმომადგენლობით საბჭოში წარსადგენად."

2024 წლის ავტორიზაციის პაკეტში სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა კვლავ წარმოადგინა უმაღლესი განათლების ყველა საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და განვითარების მეთოდოლოგიის სამი დოკუმენტი.

ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა უსდ - ს მოსთხოვა საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის და განვითარების უნიფიცირებული პოლიტიკის დოკუმენტი; თუმცა, დაწესებულებას ჯერ არ წარმოუდგენია აღნიშნული დოკუმენტი. ექსპერტთა ჯგუფი გასცემს რეკომენდაციას იმის თაობაზე, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ, შეასრულოს 2018 წლის ავტორიზაციის დროს გაცემული მითითებები და შეიმუშაოს საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის და განვითარების ერთიანი დოკუმენტი.

უნივერსიტეტს გააჩნია საგამოცდო ნაშრომების განხილვის და გასაჩივრების პროცედურა. კერძოდ, სტუდენტებს უფლება აქვთ შედეგების გამოქვეყნებიდან ორი სამუშაო დღის ვადაში მიმართონ საგამოცდო ცენტრს თავიანთი ნაშრომის განხილვის და შედეგების გადახედვის მოთხოვნით. საგამოცდო ცენტრი ორი სამუშაო დღის ვადაში მიაწოდებს სტუდენტს ნაშრომს და გადასცემს მას შესაბამისი ფაკულტეტის უფლებამოსილ წარმომადგენელს. ფაკულტეტის უფლებამოსილმა თანამშრომელმა ერთი დღის ვადაში უნდა წარუდგინოს ნაშრომი სპეციალურად შექმნილ სააპელაციო კომისიას. კომისია ვალდებულია ორი დღის ვადაში მოამზადოს სააპელაციო დასკვნა. ნაშრომი და სააპელაციო დასკვნა უბრუნდება საგამოცდო ცენტრს, რომელიც სტუდენტს გააცნობს საბოლოო შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

რეკომენდაციები: სასწავლო გეგმასთან დაკავშირებით, რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და განვითარების მეთოდოლოგიას და პირველ დანართთან ერთად მოიცავდეს მეორე და მესამე დანართებს. უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი უფრო ეფექტურად უნდა იყოს გამოყენებული საგანმანათლებლო პროგრამების კონკრეტული სწავლის შედეგების შესაფასებლად. რეკომენდებულია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ შეასრულოს 2018 წლის ავტორიზაციის დროს გაცემული მითითებები და შეიმუშაოს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და განვითარების ერთიანი პოლიტიკის დოკუმენტი.
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა(ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან o ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. 4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური / სამეცნიერო / მოწვეული / ადმინისტრაციული / დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი / სამეცნიერო / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
o უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. o უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკა წარმოდგენილია აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ დოკუმენტში "პერსონალის მართვის პოლიტიკის ზოგადი პრინციპები". დოკუმენტი წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს უნივერსიტეტში პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, აყვანის და შენარჩუნებისთვის, რომლის მიზანია პერსონალის ეფექტური მართვა და განვითარება. დოკუმენტში აღწერილია: პერსონალის მართვის პოლიტიკის მიზნები; პერსონალის საჭიროების განსაზღვრა და აყვანის ფორმები; პერსონალის შერჩევა, თანამდებობაზე დანიშვნა და შრომითი ურთიერთობები; შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა; ახალი თანამშრომლის ადაპტაცია; პერსონალის შეფასება და კმაყოფილების მონიტორინგი; პერსონალის შენარჩუნება და მოტივაცია; პერსონალის განვითარება.

პერსონალის მართვა რეგულირდება შემდეგი დოკუმენტებით: "სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი და დოკუმენტების ჩამონათვალი" და "სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალის აყვანის წესი".

ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე და აპლიკანტისთვის ხელმისაწვდომია დეტალური ინფორმაცია ვაკანსიის, უნივერსიტეტის დებულებების და განაცხადის ფორმების შესახებ. უნივერსიტეტი იზიდავს და ასაქმებს კვალიფიციურ თანამშრომლებს როგორც jobs.ge - ზე, ასევე უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ვაკანსიების გამოცხადებით. აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის აყვანის პროცედურები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს კვალიფიციური თანამშრომლების მოზიდვას. დაწესებულების ადმინისტრაციული ერთეული უზრუნველყოფს პერსონალის დასაქმების შესახებ ინფორმაციას და დაბალანსებულ თანაფარდობას აკადემიურ და ადმინისტრაციულ / დამხმარე პერსონალს შორის, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია დაწესებულების ეფექტური ფუნქციონირებისთვის. დაწესებულება არ იშურებს ძალისხმევას ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოში მშვიდად ინტეგრაციის და ინსტიტუციურ პროცესებში მათი ეფექტური ჩართვის უზრუნველყოფისთვის.

უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი ჩართულია საგანმანათლებლო, კვლევით, შემოქმედებით პროცესებში. კონფერენციების, სემინარების და სხვა ღონისძიებების უმეტესობა ინიცირებული, დაფინანსებული და ორგანიზებულია გარე სუბიექტების მიერ (საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, Erasmus+, რუსთაველის ფონდი და სხვ.). თუმცა, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან განხორციელებულმა გასაუბრებებმა გამოავლინა, რომ დაწესებულებას გააჩნია პერსონალის და სტუდენტებზე ორიენტირებული და განმავითარებელი აქტივობების დაგეგმვის და განხორციელების ფინანსური რესურსები, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით. მაგალითად, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში აღნიშნულია, რომ: "ფაკულტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად, ფაკულტეტი მონაწილეობს უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემუშავების პროცესში". აღნიშნული დოკუმენტი შემუშავებულია ყველა ფაკულტეტისთვის.

პროექტებში და სხვა საგანმანათლებლო თუ კვლევით აქტივობებში სტუდენტების ჩართულობასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფი ეყრდნობა გასაუბრებებს და თვითშეფასების ანგარიშს. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, მათი სპეციალობის შესაბამისად, განახორციელონ კვლევითი და პრაქტიკული სამუშაოები უნივერსიტეტის მეორე კორპუსში არსებულ სხვადასხვა ლაბორატორიაში, რომელიც აღჭურვილია ახალი, საჭირო აპარატურით. ინფრასტრუქტურის დათვალიერებისას, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა აღნიშნული ლაბორატორიები ფიზიკის, ქიმიის, ფარმაციის, ბიოლოგიისა და სხვა მიმართულებებით, სადაც სტუდენტები აქტიურად მუშაობენ და ხელშეწყობილია მათი პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარება.

რაც შეეხება უსდ-ს ადმინისტრაციულ პერსონალს - როგორიც არის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური; საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; სპორტის, კულტურის და ახალგაზრდობის სამსახური - აღნიშნულ სტრუქტურულ ერთეულებში არ შეინიშნება პერსონალის ნაკლებობა და შესაბამისად, დაწესებულების განვითარების ხელშეწყობა ეფექტურია.

უსდ-ში ფუნქციონირებს დამხმარე სამეცნიერო ერთეული - მშვიდობის განათლების ცენტრი, სადაც კვლევები ხორციელდება სამი მიმართულებით: კონფლიქტოლოგია და რეგიონული პოლიტიკა; აფხაზეთის კვლევები და საუნივერსიტეტო დიპლომატიის მიმართულებები. აღნიშნულ სამსახურს ჰყავს შტატგარეშე თანამშრომლები: სამეცნიერო ხელმძღვანელი, ასისტენტ ხელმძღვანელი, მთავარი მკვლევრები, მკვლევრები, ასოცირებული და ასისტენტ მკვლევრები. თითოეული თანამშრომლის უფლებები და მოვალეობები გაწერილია ცენტრის დებულებაში. ცენტრის დებულება დამტკიცებულია ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმომადგენლობით საბჭოზე.

უნივერსიტეტი გამოირჩევა განსაკუთრებული კვალიფიციური და თავდადებული აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. აღნიშნული გუნდი იცნობს და იზიარებს უნივერსიტეტის მისიას და ამაყობს მისი ისტორიით, ტრადიციებითა და მემკვიდრეობით. როგორც მათ თავად აღნიშნეს: "ჩვენი საზრუნავია წარმატებული კურსდამთავრებულების მომზადება, რომლებიც მოიპოვებენ აღიარებას როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე." თუმცა, გასაუბრებების პროცესში გამოვლინდა, რომ პერსონალის უმრავლესობა არ ფლობს ინგლისურ ენას, რომელიც ძალზედ მნიშვნელოვანია საერთაშორისო კავშირების დასამყარებლად, საჭირო და მრავალფეროვანი ლიტერატურის დასამუშავებლად და ა.შ. მათ აღნიშნეს, რომ დაწესებულებაში არის უცხო ენების ცენტრი და თუ შეიქმნება ინგლისურ ენაში მოამზადება / გადამზადების პროგრამა, აუცილებლად ჩაერთვებიან აღნიშნულ ინიციატივაში.

საგანმანათლებლო პროცესის წამყვან ძალას წარმოადგენს უნივერსიტეტის აფილირებული პროფესურა. ერთი პროფესორის თანაფარდობა სტუდენტებთან მიმართებით გათვლილია თორმეტი სტუდენტით. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამჟამად მუშაობს პერსონალსა და სტუდენტებს შორის თანაფარდობის საკითხზე როგორც მყისიერი, ასევე სამომავლო გამოყენებისთვის. (სევე იხილეთ კომპონენტი 7.1). მოწვეული პერსონალი მცირერიცხოვანია თუმცა, უნივერსიტეტი ზრუნავს მათ სამუშაო გარემოში ადაპტაციაზე, მუდმივ პროფესიულ მხარდაჭერაზე და ჩამოყალიბებული აქვს მოწვეული პერსონალის შეფასების გამჭვირვალე და მკაფიოდ განსაზღვრული კრიტერიუმები.

უნივერსიტეტი სისტემატურად ატარებს დაინტერესებული მხარეების გამოკითხვებს. პერსონალის საქმიანობის რეგულარული მონიტორინგი ხელს უწყობს ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას, ასევე პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებას. მონიტორინგის შედეგები წარმოადგენს მნიშვნელოვან საინფორმაციო ბაზას პროფესიული განვითარების ღონისძიებების დაგეგმვის პროცესში. "პერსონალის კმაყოფილების კვლევის ანალიზის" დოკუმენტში აღწერილია, რომ პერსონალის შეფასების მიზანს წარმოადგენს უნივერსიტეტის აკადემიური და დამხმარე პერსონალის პროფესიული უნარების და კომპეტენციების ობიექტური შეფასების უზრუნველყოფა და მის საფუძველზე პერსონალის წახალისების და მოტივირების შესაბამისი აქტივობების განსაზღვრა. პერსონალის შეფასების სისტემა მოიცავს ხარისხობრივ და რაოდენობრივ შეფასებას და ითვალისწინებს აკადემიური წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასებას. პერსონალის განვითარების საჭიროებების გამოსავლენად კრიტიკულად მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის პერსონალის კმაყოფილების მონიტორინგი. კმაყოფილების კვლევის სისტემა ხელს უწყობს უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის განვითარებას და ქმნის რეალურ შესაძლებლობას იმის დასადგენად, თუ როგორ შეუძლია უნივერსიტეტს კომპეტენტური და მოტივირებული პერსონალის მოზიდვა, შენარჩუნება და განვითარება. უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმირებულობის მიუხედავად, გამოკითხული პერსონალის 72.8% - ს არ მიუღია მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო ან გაცვლით პროექტებში, მივლინებებით არ უსარგებლი 73.2% - ს. გასაუბრებებისას გაკეთდა უარყოფითი შენიშვნები ანაზღაურებასთან დაკავშირებით, რაზეც განსაკუთრებული გულისტკივილით ისაუბრა მოწვეულმა პერსონალმა. თუმცა, დადასტურდა, რომ აკადემიური პერსონალის მსგავსად, მოწვეული პერსონალიც ინფორმირებულია და სიამოვნებით ერთვება ეროვნულ და საერთაშორისო ღონისძიებებში.

დაწესებულების მიერ შეთავაზებული ხელფასების გარდა, პერსონალის მოტივაციის მექანიზმებს შორის გათვალისწინებულია ფულადი პრემიები, რომლებიც გაიცემა სხვადასხვა საჭიროების მიხედვით.

დაწესებულებას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი - რაც ნიშნავს, რომ უნივერსიტეტს აქვს სტრუქტურირებული მიდგომა პერსონალური მონაცემების დაცვის მიმართ.

მნიშვნელოვანი სამსახურია "სტუდენტთა პრაქტიკის და კარიერის მართვის სამსახური", რომელიც წამყვან როლს თამაშობს სტუდენტების განათლებიდან დასაქმებაზე გადასვლის პროცესში. აღნიშნული სამსახური სტუდენტებს სთავაზობს კარიერულ კონსულტაციებს, დასაქმების სერვისებს და სტაჟირების შესაძლებლობებს. კარიერული განვითარების სამსახური უზრუნველყოფს მხარდაჭერას რეზიუმეს მომზადების, განცხადების წერის, გასაუბრებების, შეხვედრების პროცესში და ასევე სთავაზობს კარიერულ კონსულტაციებს.

უნივერსიტეტი სისტემატურად ატარებს დაინტერესებული მხარეების გამოკითხვებს. პერსონალის საქმიანობის რეგულარული მონიტორინგი ხელს უწყობს ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას, ასევე პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებას. მონიტორინგის შედეგები წარმოადგენს მნიშვნელოვან საინფორმაციო ბაზას პროფესიული განვითარების ღონისძიებების დაგეგმვის პროცესში.

ზემოაღნიშნულის მტკიცებულება, რომელიც აღიწერა პერსონალის და სტუდენტების მიერ გასაუბრების პროცესში, ასახავს განვითარების მიმართ უნივერსიტეტის მხარდაჭერას და ვალდებულებას.

აკადემიური პერსონალის მიერ მომზადებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო წიგნები იბეჭდება ფაკულტეტების ბიუჯეტით. ლექტორებს უფინანსდებათ აქტივობები / მივლინებები საზღვარგარეთ. საჭიროების შემთხვევაში, მათ შეუძლიათ აიღონ ექვსთვიანი შვებულება ხელფასის შეჩერების გარეშე.

სტუდენტთა საჭიროებების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ დაფინანსდა სტუდენტების პრაქტიკული ექსპედიცია. უნივერსიტეტს აქვს საკუთარი ტრანსპორტი. დაფინანსდა 12 სტუდენტის და 3 ხელმძღვანელის მაღალმთიანი რეგიონის ექსპედიციის მგზავრობის, სასტუმროს და კვების ხარჯები. სტუდენტებისთვის დანერგილია გადასახადის გადახდის მოქნილი მექანიზმი (გადავადება, თანხის განაწილება).

სპორტის, კულტურის და ახალგაზრდობის სამსახური ზრუნავს სტუდენტების სპორტული და კულტურული ცხოვრების მრავალფეროვნებაზე. ახლომდებარე ტერიტორიაზე უნივერსიტეტს იჯარით აქვს აღებული რამდენიმე სტადიონი, უნივერსიტეტს გააჩნია საკონფერენციო დარბაზი. სპორტულ ღონისძიებებში სტუდენტების გამარჯვება წახალისებულია სერტიფიკატების და ფულადი ჯილდოების სახით. უნივერსიტეტს ჰყავს მუსიკალური ჯგუფი, რომელიც მონაწილეობს საუნივერსიტეტო ღონისძიებებში. სამივე საფეხურის სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა აღნიშნულ აქტივობებში.

ფსიქოლოგიური ცენტრი, რომელიც წარმოადგენს უნივერსიტეტის საერთაშორისო პროექტს ევროპის საბჭოს დახმარებით, 2020 - 24 წლებში უზრუნველყოფს სტუდენტების კოგნიტური საკითხების გადაწყვეტას. ცენტრში დასაქმებული არიან მოწვეული ფსიქოლოგები.

ფაკულტეტების მიხედვით ტარდება საერთაშორისო კონფერენციები. მათ შორის, კვების ტექნოლოგიების კონფერენციაში ჩართული იყვნენ მონაწილეები 18 ქვეყნიდან.

უსდ - ს ჰყავს უცხოელი მოწვეული ლექტორები და პროგრამის ხელმძღვანელები. მემორანდუმების ფარგლებში უნივერსიტეტი თანამშრომლობს წამყვან ევროპულ უნივერსიტეტებთან. მოქნილი უნარების შესახებ პროექტის განვითარებასთან დაკავშირებით გაზიარებულ იქნა რამდენიმე უცხოური უნივერსიტეტის გამოცდილება და ცვლილებები აისახა სასწავლო პროგრამებში.

უნივერსიტეტს ჰყავს საერთაშორისო მნიშვნელობის მეცნიერ - თანამშრომლები. გამოიყო გამოყენებითი მათემატიკის მიმართულებით დაცული სადისერტაციო ნაშრომი "კონფლიქტის გადაწყვეტის მათემატიკური მოდელი", რომლის რეცენზენტებიც გახლდნენ ამერიკელი და პორტუგალიელი ექსპერტები. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამაყობს იმით, რომ ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში დაწესებულება არის აბსოლუტური ლიდერი გამოყენებითი მათემატიკის მიმართულებით.

ბიოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ უსდ - ში გაიხსნა ბიო - ორგანული ქიმიის ლაბორატორია, სადაც სამასი ათასი ლარის ფარგლებში შეძენილ იქნა ხელსაწყოები და აპარატურა. გამოყენებითი გეოგრაფიის პროგრამის ხელმძღვანელმა დაადასტურა, რომ სასწავლო რესურსები იქმნება მის მიერ და ლიტერატურის ბეჭდვა ფინანსდება ფაკულტეტის ბიუჯეტიდან. გამოიცა 39 სასწავლო სახელმძღვანელო.

ფარმაციის პროგრამაში შექმნილია ლაბორატორია, სადაც მზადდება გაყიდვაში არსებული პრეპარატები. მათ გაფორმებული აქვთ მემორანდუმები აფთიაქებთან და ქარხნებთან. (ასევე იხილეთ 7.1)

განათლების ფაკულტეტზე ხორციელდება 300 კრედიტიანი საბაკალავრო - სამაგისტრო პროგრამა, რომელიც მოიცავს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას. აღნიშნული პროგრამა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დამწყები მასწავლებლებისთვის. აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულს არ სჭირდება საგამოცდო ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდით საგნის კომპეტენციის დადასტურება. სტატუსის მინიჭებისთვის შეიძლება არსებობდეს დამატებითი აქტივობები.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს აკადემიური და კვლევითი პერსონალის წახალისების პოლიტიკა აქტიურად ჩაერთონ კვლევით, შემოქმედებით პროცესებში და უზრუნველყოფს მათი დაფინანსების შესაძლებლობებს.

უნივერსიტეტს, პერსონალის მართვასთან მიმართებაში, შემუშავებული აქვს წინასწარ განსაზღვრული ანაზღაურების და წახალისების პრინციპები, ასევე პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების შედეგები. უნივერსიტეტი ზრუნავს და შემუშავებული აქვს პროცედურა ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოში ინტეგრაციის და სამუშაო პროცესში მათი ეფექტური ჩართულობის უზრუნველსაყოფად. პერსონალის მართვის პროცესში უნივერსიტეტი იყენებს აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების და კმაყოფილების კვლევის შედეგებს.

უნივერსიტეტს გაუმჯობესებული აქვს წვდომა პერსონალის მართვის პოლიტიკასთან დაკავშირებულ რეგულაციებზე, იმისათვის, რომ დაინტერესებულ პირებს ჰქონდეთ ინფორმაცია აღნიშნული პოლიტიკის და რეგულაციების შესახებ. შემუშავებულია სამიზნე ნიშნული აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალის ასაკობრივი და გენდერული განაწილების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს მოწვეული ახალგაზრდა პერსონალის - სხვა უნივერსიტეტებთან არააფილირებული პერსონალის დაწინაურების მოქნილი მექანიზმი. გააგრძელოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება და ხელი შეუწყოს პარტნიორობებს უფრო ფართო, მდგრადი სტრატეგიის ფარგლებში. აკადემიური და მოწვეული პერსონალის დიდი ნაწილი არ საუბრობს ინგლისურ ენაზე. სასურველია მათი მომზადება და გადამზადება, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულება გეგმავს მეტი საერთაშორისო პროექტის და პროგრამის განხორციელებას.
საუკეთესო პრაქტიკა(ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა
უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტს ჰყავს განსხვავებული სახის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომლებიც შეირჩევიან უნივერსიტეტის მიზნების გათვალისწინებით. აკადემიური პერსონალისთვის არსებობს დატვირთვის ცხრილი, რომელიც უნივერსიტეტს ეხმარება პერსონალის ძალისხმევისა და მიღწევების მონიტორინგში რამდენიმე მიმართულებით, კერძოდ: სწავლება, პრაქტიკული მუშაობა, კვლევა და ადმინისტრაციული საქმიანობა.

ფაკულტეტების ადმინისტრაცია აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობას გეგმავს პროგრამის მოთხოვნებისა და მისი შინაარსის, სამუშაო დატვირთვისა და საბიუჯეტო შესაძლებლობების საფუძველზე. ჩანს, რომ შესაბამისი თანაფარდობები ადეკვატურად პასუხობს უნივერსიტეტის მოთხოვნებს: აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა პროგრამებთან (5/1); აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა სტუდენტებთან (1/10); აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან (3/1); აფილირებული აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მთლიანად აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან (1/2); აფილირებული აკადემიური პერსონალის თანაფარდობა სტუდენტებთან (1/12). თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, 190 აკადემიური პერსონალიდან 187 აფილირებულია. (იხ. კომპონენტი 7.1 თანაფარდობების შესახებ სსუს ბოლო მონაცემებისათვის).

უნივერსიტეტის ბიუჯეტი, სახელფასო განაკვეთი, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სტუდენტების რაოდენობა, საგანმანათლებლო პროგრამებში საკონტაქტო საათების რაოდენობა აკადემიური პერსონალის რესურსის პროპორციულია, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, კვლევითი საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების დროულ შესრულებას და უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

უნივერსიტეტის მიერ მოწოდებულ მტკიცებულებებსა და აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუებზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ამჟამად აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად საკმარისია. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან შეხვედრისას, ექსპერტთა ჯგუფს განუმარტეს, რომ ისინი მონაწილეობენ ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვაში ან არსებული პროგრამების გაუმჯობესებაში, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სტუდენტთა სამომავლო მიღებას, კონკრეტულ საჭიროებებსა და პროგრამისთვის სპეციფიურ მიმართულებებს.

პერსონალმა უნივერსიტეტისადმი სრული ნდობა გამოხატა და ისინი საკუთარ პედაგოგიურ და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ამ დაწესებულებას უკავშირებენ. ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, უნივერსიტეტი პერსონალს მხარს უჭერს თავიანთი სტატიების საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებაში; პროფესიული განვითარებაში სხვადასხვა აქტივობების მეშვეობით; მათ მიერ შექმნილი სახელმძღვანელოები დასაბეჭდვაში; კვლევითი საქმიანობის ხელშესაწყობასა და ექსპედიციების დაფინანსებაში, ასევე სხვა საველე და ლაბორატორიულ ექსპერიმენტებში. აფილირების პირობები

პერსონალისთვის ცნობილი და გასაგებია, და ისინი სრულად იაზრებენ უნივერსიტეტის მოთხოვნებს აფილირებასთან დაკავშირებით.

ინტერვიუს დროს, აკადემიურმა პერსონალმა განმარტა, რომ აფილირება მათ ავალდებულებს ძირითადად დასაქმებული იყვნენ მოცემულ დაწესებულებაში (დატვირთვის თვალსაზრისით) და არსებობს საზღვრები სხვა უნივერსიტეტში აკადემიური პოზიციის დაკავებასთან დაკავშირებით. ასევე, ისინი თავიანთ სამეცნიერო ან პრაქტიკულ ნაშრომებს უნივერსიტეტს უკავშირებენ. გარდა ამისა, აფილირებულმა პროფესორებმა აღნიშნეს, რომ მათ პრიორიტეტი ენიჭებათ სხვადასხვა აქტივობებში, მაგალითად, მასტერკლასებში, კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობისთვის დაფინანსების მოპოვებაში.

უნივერსიტეტის მიერ პერსონალისთვის დადგენილი სტანდარტები შეესაბამება მიმდინარე ოპერაციულ გარემოებებს და სრულად ადეკვატურია საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობების განსახორციელებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

რეკომენდაციები:

წინადადება (წინადადებები), რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების შესასრულებლად.

წინადადებები

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას; სტუდენტებს სთავაზობს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, კარიერული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმებს; ასევე უზრუნველყოფს მათ მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად, უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
o უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. o უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სტუდენტის სტატუსის მინიჭება, შეჩერება და შეწყვეტა, ასევე მობილობა, კვალიფიკაციის მინიჭება, საგანმანათლებლო დოკუმენტების გაცემა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება სსუ-ში რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. 2014 წლის 5 აგვისტოს №05/01-172 დადგენილებით უნივერსიტეტმა დაამტკიცა სასწავლო პროცესის რეგულირების პროცედურა, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს თითოეულ საგანმანათლებლო საფეხურზე სტუდენტის სტატუსის მინიჭების, შეჩერების და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტების გაცემის და სწავლის პერიოდში მიღებული ცოდნის აღიარების წესებს.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას. სსუ-ს წესდება, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის №123/ნ ბრძანებით, განსაზღვრავს სტუდენტების უფლებებსა და მოვალეობებს, ასევე დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს. სტუდენტის სტატუსის მიღების დროს უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომელიც მიზნად ისახავს მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვას. უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტები პერიოდულად გადაიხედება და ქვეყნდება სტუდენტების უფლებებისა და ინტერესების დასაცავად. სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური პასუხისმგებელია სტუდენტთა უფლებების დაცვაზე, კონფლიქტების მოგვარებაზე და სტუდენტების წინაშე არსებული საკითხების გადაჭრაზე. გარდა ამისა, უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი და რეგულაციები, რომლებიც დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2014 წლის 7 მარტს, მოიცავს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს.

უნივერსიტეტს ჰყავს სტუდენტთა თვითმმართველობა, რომელიც თავისი პასუხისმგებლობების ფარგლებში მუშაობს სტუდენტთა უფლებების დაცვის გაძლიერებასა და უნივერსიტეტის მართვაში მათ ჩართულობაზე. თვითმმართველობა უფლებამოსილია შეიმუშაოს წინადადებები ფაკულტეტის ან უნივერსიტეტის მართვის სისტემის გაუმჯობესებისა და განათლების ხარისხის ამაღლებისთვის. სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები ტარდება დემოკრატიულად და გამჭვირვალედ, საყოველთაო, თანაბარი, პირდაპირი არჩევნების საშუალებით, ფარული კენჭისყრის საფუძველზე. მისი დებულებების მიხედვით, ეს უზრუნველყოფს სტუდენტების მონაწილეობას უნივერსიტეტის მართვაში.

სსუ- ს სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგად გაირკვა, რომ უნივერსიტეტი ეფექტიანად იცავს მათ უფლებებს და უზრუნველყოფს, რომ მათი ხმა ყოველთვის იყოს გაგებული. სტუდენტებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მათი აკადემიური თავისუფლება დაცულია, რაც მათ საშუალებას აძლევს გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები უნივერსიტეტის მხრიდან რაიმე სახის ზეწოლისა თუ ცენზურის შიშის გარეშე. მათ ასევე ხაზი გაუსვეს სტუდენტური თვითმმართველობის მნიშვნელობას და მას ხედავენ, როგორც უმნიშვნელოვანეს და პატივსაცემ მექანიზმს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია მათი შეშფოთების გამოხატვა ან სასწავლო პროცესში წარმოქმნილი პრობლემების მოგვარება. სტუდენტები თავიანთ უფლებებზე ინფორმაციას იღებენ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული პრეზენტაციებისა

და შეხვედრების მეშვეობით. ასევე, ამ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, სადაც საჯაროდ არის ხელმისაწვდომი სსუ-ს სამართლებრივი აქტები.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვება ეფუძნება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებს, გარდა კანონით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა. სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია საერთო სამაგისტრო გამოცდისა და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის შედეგები. სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა განისაზღვრება სსუ-ს სადოქტორო პროგრამის მინიმალური სტანდარტებით. უნივერსიტეტში სტუდენტების ინგლისური ენის ცოდნა ფასდება B2 დონის ტესტირების საშუალებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

რეკომენდაციები:

ვინაიდან სტუდენტების ენობრივი კომპეტენცია დაბალია და ხშირ შემთხვევაში არ შეესაბამება B2 დონეს, რაც მიღების ფორმალურ მოთხოვნას წარმოადგენს, რეკომენდებულია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა რაც შეიძლება სწრაფად გადაჭრას აღნიშნული საკითხი.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებასა და ჩართულობას საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე მხარს უჭერს სტუდენტურ ინიციატივებს.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსუ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჯანსაღი და დაბალანსებული სტუდენტური ცხოვრების ხელშეწყობას. წლების განმავლობაში უნივერსიტეტმა შექმნა მნიშვნელოვანი სერვისები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიურ და კარიერულ განვითარებას და ზრდის მათ ცნობიერებას საუნივერსიტეტო, ადგილობრივი და საერთაშორისო ინიციატივებისა და პროექტების შესახებ. ეს შესაძლებლობები ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისთვის, ეთნიკური წარმომავლობისა და სქესის მიუხედავად. სსუ- მ დაამტკიცა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესები, რომელიც მოიცავს სტუდენტთა განსხვავებულ მოთხოვნებზე, საჭიროებებსა და აკადემიური მომზადების დონეზე მორგებულ სასწავლო კურსებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნაში მონაწილეობას იღებენ: სტუდენტები, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები, კურსების ლექტორები, სწავლების პროცესში ჩართული პროფესორ-მასწავლებლები და მმათველი რგოლისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები.

უნივერსიტეტის პერსონალთან ინტერვიუებისას ერთერთი მნიშვნელოვანი მიგნება ის იყო, რომ სსუ-მ შეიმუშავა სერვისი, რომელიც ახდენს ფსიქოლოგიური მხარდაჭერის ინტეგრირებას აკადემიურ ცხოვრებაში. ეს სერვისი, რომელიც არამარტო სსუ- ში, არამედ საქართველოს სხვა უნივერსიტეტებშიც დაინერგა, უზრუნველყოფს კოგნიტური ჯანმრთელობის მხარდაჭერას, რაც სტუდენტებს ემოციური და ფსიქოლოგიური დახმარების მიღების საშუალებას აძლევს აკადემიური და პიროვნული წარმატებისათვის.

სსუ- ში სტუდენტთა პრაქტიკისა და კარიერის მართვის სამსახური პასუხისმგებელია სტუდენტებისთვის დასაქმებისთვის საჭირო ზოგადი უნარებისა და შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობაზე, მათთვის შრომითი ბაზრის შესაძლებლობების და პერსპექტივების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე და დამსაქმებლებთან კავშირების დამყარებაში დახმარებაზე. ეს მოიცავს დასაქმების ფორუმებისა და დარგობრივი კონფერენციების ორგანიზებას და ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციების მიწოდებას, რაც ხელს უწყობს მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდას. გარდა ამისა, სამსახური სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას ხელმისაწვდომ ვაკანსიებზე. სტუდენტებთან, დაინტერესებულ მხარეებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ სსუ-ს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მაღალია. სტუდენტების თქმით, ამ სერვისებმა დიდი გავლენა მოახდინა მათ მიერ შესაბამისი სტაჟირებისა და სამსახურის მოძიებაზე.

მიუხედავად ამისა, დამსაქმებელთა წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს განსაკუთრებით აღინიშნა, რომ სტუდენტებმა მეტი პრაქტიკული გამოცდილება უნდა მიიღონ. სტუდენტებმაც გამოთქვეს პრაქტიკული სწავლების გაძლიერების საჭიროება, რათა უფრო კონკურენტუნარიანები გახდნენ შრომის ბაზარზე. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს უნივერსიტეტს, გააძლიეროს პრაქტიკული სწავლება, რათა გააუმჯობესოს სტუდენტების პრაქტიკული უნარები.

უნივერსიტეტის სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური პასუხისმგებელია სპორტისა და კულტურასთან დაკავშირებული აქტივობების ზედამხედველობაზე. სამსახური თანამშრომლობს სამთავრობო, არასამთავრობო და სტუდენტურ ორგანიზაციებთან სტუდენტური ცხოვრების გასაუმჯობესებლად. მისი ძირითადი მიზნები და ფუნქციები მოიცავს საუნივერსიტეტო სპორტის პოპულარიზაციას, სტუდენტებისა და პერსონალისთვის ღონისძიებების ორგანიზებას და სტუდენტთა აქტიური ჩართულობის ხელშეწყობას. სამსახური ასევე უზრუნველყოფს სტუდენტების ჩართულობას ეროვნულ სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებში; აღმოაჩენს და მხარს უჭერს ნიჭიერ სტუდენტებს, რათა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო კონკურსებში (როგორც ფინანსური, ასევე მორალური მხარდაჭერის აღმოჩენით) და ხელს უწყობს სტუდენტურ თვითმმართველობას, პროექტებისა და ინოვაციური ინიციატივების კოორდინირებით. გარდა ამისა, ის აუმჯობესებს სტუდენტთა ცოდნას ტრენინგების, სემინარებისა და არაფორმალური განათლების საშუალებით, მათი უფლებების დაცვის, კონფლიქტების გადაჭრისა და საჭირბოროტო საკითხების დროულად მოგვარების პარალელურად.

უნივერსიტეტს მოწოდებული აქვს ინფორმაცია კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების შესახებ, მათი კვალიფიკაციის მიხედვით. აღნიშნული მონაცემები, სახელწოდებით „კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი“, შედგენილია სტუდენტთა პრაქტიკისა და კარიერის მართვის სამსახურისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. ის შეიცავს დეტალურ ინფორმაციას კურსდამთავრებულების, მათი კვალიფიკაციისა და სსუ-ს დამთავრების შემდეგ მათი დასაქმების მაჩვენებლების შესახებ. დეტალური ინფორმაცია თვითშეფასების ანგარიშშია მოცემული. გარდა ამისა, ინფორმაცია დასაქმებული სტუდენტების შესახებ ხელმისაწვდომია სსუ- ს ვებ- ვერდზე, რომლის თანახმადაც, სტუდენტთა მნიშვნელოვანმა რაოდენობამ წარმატებით შეძლო დასაქმება.

უნივერსიტეტმა წარმოადგინა დოკუმენტები, რომელშიც დეტალურადაა მოცემული ინფორმაცია დასრულებულ და მიმდინარე გაცვლით პროგრამებზე, როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალისათვის. აღნიშნული გაცვლითი პროექტები და პროგრამები ძირითადად ხორციელდება Erasmus+ და Erasmus Mundus-ის ფარგლებში. მონაწილეთა დიდი რაოდენობა ხაზს უსვამს უნივერსიტეტის ძლიერ აქცენტს საერთაშორისო პარტნიორობასა და განვითარებაზე. სტაჟირების პროგრამების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (Sou.edu.ge). აღნიშნული პროგრამები მოიცავს შესაძლებლობებს, რომლებიც უნივერსიტეტის პარტნიორების მიერ არის შეთავაზებული, როგორებიცაა „ევექსი“, „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“ და სხვ. გარდა ამისა, საერთაშორისო მობილობისა და სტუდენტების აკადემიურ და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული სხვა აქტივობების შესახებ ინფორმაცია ვრცელდება სხვადასხვა არხებით, როგორებიცაა საინფორმაციო შეხვედრები, ინტერნეტი, SMS შეტყობინებები და საინფორმაციო დაფები სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორივე შენობაში. კომუნიკაციის არხების ეფექტურობა ხაზგასმული იყო სტუდენტებთან შეხვედრის დროს.

სსუ აქტიურად მონაწილეობს მრავალფეროვან პროექტებსა და პროგრამებში, მათ შორის სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში, პარტნიორ უნივერსიტეტებთან გაცვლით პროგრამებში და საერთაშორისო თანამშრომლობაში. უნივერსიტეტს ჩამოყალიბებული აქვს მყარი კომუნიკაცია სტუდენტებთან, რათა მათ მიაწოდოს ინფორმაცია და წაახალისოს მათი მონაწილეობა ადგილობრივ ინიციატივებში, აქტივობებსა და გაცვლით პროგრამებში, როგორც ონლაინ, ასევე პირადად, სტუდენტებისათვის საჭირო ყველა პროცედურის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდებით. უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული მონაცემები მიუთითებს, რომ სტუდენტების მონაწილეობა ამ ინიციატივებში საკმაოდ მასშტაბურია.

უნივერსიტეტს პარტნიორობა აქვს რამდენიმე ევროპულ და აზიურ უნივერსიტეტთან. Erasmus+ და გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ პარტნიორ უნივერსიტეტებში ერთი ან ორი სემესტრის განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროგრამებში სტიპენდიები არ არის გათვალისწინებული, პარტნიორ უნივერსიტეტებში სტუდენტები გათავისუფლებული არიან სწავლის საფასურისაგან. ეროვნული დონეზე, უნივერსიტეტს პარტნიორობა აქვს რამდენიმე კომპანიასთან, რაც სტუდენტებს შესაძლებლობებს აძლევს მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება სტაჟირების, დასაქმებისა და სხვა ინიციატივების საშუალებით.

ინტერვიუების შედეგების მიხედვით, უნივერსიტეტი აქტიურად უჭერს მხარს დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე სტუდენტებს და მათ განსაკუთრებულ სერვისებს აწვდის, რათა მათი სოციალური სტატუსი არ იქცეს დაბრკოლებად მათი აკადემიური პროგრესისათვის. ეს სერვისები მოიცავს როგორც ფინანსურ, ასევე აკადემიურ მხარდაჭერას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:
რეკომენდაციები: რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს პრაქტიკული სწავლება სტუდენტების პრაქტიკული გამოცდილების გასაუმჯობესებლად და კარიერული განვითარებისთვის საჭირო უნარებით აღჭურვის მიზნით
რჩევები: არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში): შედარებით ახალი ფსიქოლოგიური ცენტრი, შექმნილი საჭიროების გამო, რომელიც მნიშვნელოვან წარმატებად იქცა უნივერსიტეტში.
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება და/ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
o უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. o სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა o უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსუ-ს სამეცნიერო-კვლევითი პოლიტიკა შეესაბამება უნივერსიტეტის მისიის პრიორიტეტებს. უნივერსიტეტი ატარებს როგორც ფუნდამენტურ, ისე გამოყენებით კვლევებს, რომელიც მოიცავს ფაკულტეტების, ცენტრებისა და ინსტიტუტების მიერ ნაკვლევ თემებს. ეს არის საუკუნოვანი სკოლა, რომელიც ატარებს ქართულ საგანმანათლებლო ტრადიციებს და წარმოადგენს განათლებისა და კვლევის უმაღლეს ცენტრს, რომელიც ეფუძნება ქართველთა და აფხაზთა სულიერ და ინტელექტუალურ ღირებულებებს, ეროვნულ და საერთაშორისოდ აღიარებულ ფასეულობებს, რომლებიც განსაზღვრავს მულტიკულტურული სისტემების სიძლიერეს. უნივერსიტეტს გააჩნია განსაკუთრებული ფუნქცია, რომელიც აერთიანებს ეთნიკურ, მენტალურ და სოციალურ-კულტურულ ღირებულებებს, რათა გადაჭრას ბოლო ათწლეულებში წარმოქმნილი მენტალური გაუცხოების პრობლემა ქართველებსა და აფხაზებს შორის და ხელი შეუწყოს აფხაზეთში მათი ისტორიული თანაცხოვრების განახლებას. ეს ძირითადი მისია, რომელიც ისტორიულ და განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას წარმოადგენს, აჩვენებს შესაძლებლობას, რომ უნივერსიტეტი, თავის საგანმანათლებლო კერასთან ერთად, შეიძლება იქცეს კონფლიქტების კვლევის რეგიონულ ცენტრად.

ექსპერტთა ჯგუფმა მოინახულა რამდენიმე კვლევითი ცენტრი და ადგილზე დაათვალიერა მათი ინფრასტრუქტურა. მათ შორის აღსანიშნავია: სამშვიდობო განათლების ცენტრი, რომელიც კვლევით ცენტრს წარმოადგენს; მოლეკულური დიაგნოსტიკისა და ბიოტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელიც სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრია; მულტიკულტურული განათლებისა და კულტურის კვლევების ცენტრი, რომელიც კვლევით და საგანმანათლებლო ცენტრს წარმოადგენს; ბავშვთა უფლებების ცენტრი, რომელიც ასევე კვლევითი და საგანმანათლებლო ცენტრია. აღნიშნული ცენტრები ჩართულები არიან სხვადასხვა სფეროში მიზანმიმართულ და ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით და პრაქტიკულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია სამშვიდობო განათლების ცენტრის აქტივობები, რომელიც აფხაზეთთან დაკავშირებულ კვლევებს მოიცავს და ამ მიმართულებით კვლევის არეალის გაფართოებას უწყობს ხელს.

სამშვიდობო განათლების ცენტრი იკვლევს აფხაზური ენის, ლიტერატურის, ფოლკლორის, ეთნიკურობისა და ტრადიციების საკითხებს. ცენტრის აფხაზური კვლევების მიმართულებამ მოკლე პერიოდში განახორციელა არაერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო და საგანმანათლებლო-კვლევითი პროექტი, მათ შორის, აფხაზური ენიდან ქართულ ენაზე აფხაზეთის შესახებ მნიშვნელოვანი ნაშრომების თარგმნა, რომელიც შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით განხორციელდა. ცენტრის მიერ გამოქვეყნებულ მონოგრაფიებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია 2021 წელს გამოცემული "მშვიდობის ქართული პარადიგმა", რომელიც მშვიდობისთვის ბრძოლის ახალ კონცეპტუალურ მიდგომას წარმოადგენს. ავტორის აზრით, კონფლიქტების გადაჭრისთვის აუცილებელია საუნივერსიტეტო დიპლომატიის გამოყენება.

სსუ- ს სამეცნიერო- კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი, ფაკულტეტებთან ერთად, დეპარტამენტის დებულების საფუძველზე ახორციელებს შემოქმედებით სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის განვითარებასა და საერთაშორისო აკადემიურ სისტემაში ჩართვას. 2018- 2024 წლების საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, გაუმჯობესდა როგორც კვლევების რაოდენობა, ისე ხარისხი. აღნიშნული

გაუმჯობესების მტკიცებულებაა საერთაშორისო, ეროვნული და საუნივერსიტეტო საგრანტო პროექტების კვლევითი შედეგების საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებულ, მაღალი რეიტინგის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნება.

საერთაშორისო აკადემიურ სისტემაში სამეცნიერო ნაშრომების ხილვადობის გასაზრდელად, 2021 წელს შეძენილ იქნა საერთაშორისო DOI იდენტიფიკატორი, რომელიც მოითხოვდა ნაშრომების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას. 2021 წლიდან, სსუ- ს შრომებში შესული თითოეული სტატია რეცენზირებას გადის და მხოლოდ ამის შემდეგ ენიჭება DOI ციფრული იდენტიფიკატორი. ამ მიზნით, შეთანხმება გაფორმდა "მეცნიერების ასოციაციასთან" და გამოიყო სპეციალური სივრცე, სადაც არა მხოლოდ ნაშრომები, არამედ უნივერსიტეტის სხვა პუბლიკაციები, საკონფერენციო მასალები და თეზისების კრებულებიც აიტვირთება. DOI კოდის მინიჭებამ გაზარდა უნივერსიტეტის ნაშრომების ხილვადობა საერთაშორისო აკადემიურ სისტემაში. თვითშეფასების ანგარიშში აღწერილია Scopus და Web of Science-ში ინდექსირებული პუბლიკაციების რაოდენობა; ბოლო წლებში ორივე შემთხვევაში აღინიშნება მნიშვნელოვანი ზრდა, რომლის ფარგლებშიც 220 პუბლიკაცია ფიქსირდება (https://www.scopus.com/pages/organization/60110406).

გარდა ამისა, უნივერსიტეტმა დააფინანსა 20-ზე მეტი შიდა სამიზნე გრანტი, რომლებიც ექსპერიმენტებსა და კვლევებს უკავშირდება, მათ შორის ახალგაზრდა მკვლევართათვის. აღნიშნული გრანტები მხარს უჭერს სამშვიდობო განათლების კვლევას და უზრუნველყოფს კავშირს უნივერსიტეტის მესამე მისიასთან, ამასთან ერთად კი ქმნის საფუძველს ეროვნული და საერთაშორისო გრანტების მოპოვებისათვის.

ადგილზე ვიზიტმა და წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ დაადასტურა, რომ უნივერსიტეტი თავის კვლევით ძალისხმევას სწავლებისა და სწავლის პროცესში (კვლევით ინფორმირებული სწავლება) აერთიანებს. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებმა სარგებელი მიიღონ უახლესი სამეცნიერო მიღწევებიდან და მიდგომებიდან. პროფესორ- მასწავლებელბები კურსებში იყენებენ თანამედროვე კვლევების შედეგებს, რაც სტუდენტებს პრაქტიკულ გამოცდილებასა და საკუთარი სპეციალობის უკეთ გააზრების საშუალებას სთავაზობს. კვლევით პროექტებში მონაწილე სტუდენტები იუმჯობესებენ კრიტიკულ აზროვნებასა და პრაქტიკულ ცოდნას, რაც მათ სამომავლო აკადემიური და პროფესიული წარმატებისათვის ამზადებს.

სსუ ახორციელებს ათ აკრედიტებულ სადოქტორო პროგრამას, რომლებიც მოიცავს ჰუმანიტარულ, საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებებს. პროგრამებს ხელმძღვანელობენ ეროვნული და საერთაშორისო აკადემიური წრეებში კარგად ცნობილი მეცნიერები. ისინი თანამშრომლობენ დარგობრივ სამეცნიერო- კვლევით ცენტრებთან და აქვეყნებენ მონოგრაფიებსა და სტატიებს საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე აღიარებულ სამეცნიერო ჟურნალებში. სადოქტორო პროგრამები კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალითაა დაკომპლექტებული, რომლებიც უზრუნველყოფენ სპეციალიზებულ სფეროებში სამეცნიერო მიღწევების მოწოდებას. „მინიმალური სადოქტორო სტანდარტი“ და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები განსაზღვრავენ სამეცნიერო ხელმძღვანელის ძირითად ვალდებულებებს. მათ შორისაა რეგულარული კონსულტაციების ჩატარება საკვლევი თემის თავისებურებებზე, რაც მოიცავს კვლევის დიზაინს, სემინარებს, სამეცნიერო კვლევით პუბლიკაციებსა და დისერტაციებს. ხელმძღვანელები დოქტორანტებს ასევე ეხმარებიან ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელებთან კავშირების დამყარებაში, სამეცნიერო ღონისძიებებში

მონაწილეობასა და კვლევის შედეგების პრეზენტაციასა და გამოქვეყნებაში. ისინი ასევე მონიტორინგს უწევენ თითოეული დოქტორანტის საგანმანათლებლო და კვლევით კომპონენტებს, სასწავლო გეგმის შესაბამისად, და რეგულარულად აფასებენ მათ პროგრესს. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის წინასწარ განსაზღვრული დატვირთვა მათ საშუალებას აძლევს, ეფექტურად უხელმძღვანელონ დისერტაციებ, სამეცნიერო ნაშრომებსა და პროექტებს.

1. დისერტაციის შეფასება და დაცვა საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურებით ხორციელდება, პროცესში მაღალკვალიფიციური აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ჩართულობით. დისერტაციის დაცვის პროცედურები მოიცავს სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ დოქტორანტის სადისერტაციო საბჭოსადმი წარდგენას, იმის აღნიშვნით, რომ დისერტაცია მზადაა საჯაროდ დასაცავად. პროცესის განმავლობაში დოქტორანტმა უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნებიდან ერთ-ერთი:

დოქტორანტს ადგილობრივ ხელმძღვანელთან ერთად ჰყავს უცხოელი თანახელმძღვანელი; სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დისერტაციას აფასებს დოქტორის ხარისხისა და დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე უცხოელი შემფასებელი (ექსპერტი ან/ და რეცენზენტი); დოქტორანტი გამოდის მინიმუმ ერთ საერთაშორისო კონფერენციაზე, რაც დასტურდება შესაბამისი განრიგით/ საკონფერენციო მასალებით; დოქტორანტის სამეცნიერო სტატია სადოქტორო დისერტაციის თემის შესახებ გამოქვეყნებულია იმპაქტ-ფაქტორის მქონე რეცენზირებად ჟურნალში; ან რეფერირებად ელექტრონულ და/ან ნაბეჭდ ჟურნალში; ან საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში საზღვარგარეთ; ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში საზღვარგარეთ. აღნიშნული დასტურდება შესაბამისი საერთაშორისო კლასიფიკაციით ან სხვა საერთაშორისო დოკუმენტით.

სადისერტაციო საბჭომ შესაძლებელია განსაზღვროს დამატებითი მოთხოვნები კონკრეტულ დისერტაციასთან მიმართებით.

სსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამულ უზრუნველყოფას. ხელმძღვანელის პოზიტიური დასკვნის შემდეგ დისერტაცია გადის პლაგიატზე შემოწმებას. დაუშვებელია სადისერტაციო ნაშრომის დაცვა პლაგიატზე დადებითი დასკვნის გარეშე. 2022 წლიდან აღნიშნული პროგრამა გამოიყენება არა მხოლოდ სადოქტორო, არამედ სამაგისტრო და ჰუმანიტარული მიმართულების საბაკალავრო ნაშრომებისთვისაც.

დისერტაციის წარდგენის შემდეგ, სადისერტაციო საბჭო ორ ექსპერტს ნიშნავს დისერტაციის შესაფასებლად; აქედან ერთი არის მოწვეული პროფესორი, ხოლო მეორე - საბჭოს წევრი. ექსპერტებმა დასკვნები ერთი თვის განმავლობაში უნდა წარმოადგინონ. თუ ერთ-ერთი ექსპერტის შეფასება უარყოფითია, სადისერტაციო საბჭო ნიშნავს მესამე ექსპერტს. ორი უარყოფითი შეფასების შემთხვევაში დისერტაცია სტუდენტს უბრუნდება და შემდეგი საფეხურები არ იგეგმება. თუ დასკვნები დადებითია, დისერტაცია გადადის პროცედურულ ეტაპზე და საბჭო ნიშნავს მინიმუმ ორ რეცენზენტს (მათგან ერთი გარედან მოწვეული), რომელთაც ერთი თვის განმავლობაში უნდა წარმოადგინონ შეფასებები.

თუ ერთი რეცენზენტი დისერტაციას უარყოფითად შეაფასებს, სადისერტაციო საბჭო დანიშნავს მესამე რეცენზენტს ნაშრომის შესაფასებლად. თუ დისერტაციას ორი უარყოფითი შეფასება ექნება, დაცვის პროცედურა არ გაგრძელდება და ნაშრომი შესწორებისთვის

დაუბრუნდება დოქტორანტს. რეცენზენტების მხრიდან დადებითი შეფასებების შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭო განსაზღვრავს დისერტაციის დაცვის საბოლოო თარიღს. დისერტაციის დაცვა საჯაროა. ინფორმაცია უნივერსიტეტის ვებგვერდზე ქვეყნდება დისერტაციის დაცვამდე მინიმუმ ორი კვირით ადრე. დოქტორანტი ვალდებულია, დისერტაციის ერთი ასლი მიაწოდოს სსუ-ს ბიბლიოთეკას დისერტაციის დაცვის თარიღამდე მინიმუმ ორი კვირით ადრე. დაცვის პროცესში შედის დოქტორანტის მიერ დისერტაციის წარდგენა; სამეცნიერო დებატები/დისკუსია სადისერტაციო საბჭოს წევრებსა და დოქტორანტს შორის, რასაც მოჰყვება საბჭოს შეფასება და დასკვნა. სადისერტაციო საბჭო დისერტაციის საბოლოო შეფასებას ინდივიდუალურად ახორციელებს 100-ქულიანი სისტემით. საბჭოს მიერ არჩეული ხმის დამთვლელი კომისია ქულების არითმეტიკულ საშუალოს ითვლის. საბოლოო შეფასება კანონმდებლობის შესაბამისად ხდება.

სსუ- ს დოქტორანტებმა და კურსდამთავრებულებმა ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ უმრავლესობა კმაყოფილია მათთვის შეთავაზებული მხარდაჭერითა და შესაძლებლობებით. თუმცა, ჯგუფმა დაადგინა ინგლისური ენის ცოდნასთან დაკავშირებული გამოწვევები. სტუდენტები აქტიურად იყენებენ ინგლისურენოვან ლიტერატურას სწავლის პროცესში და აქვეყნებენ სტატიებს საერთაშორისო ჟურნალებში, რის გამოც საჭიროა სტუდენტების ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესება (იხილეთ სტანდარტი 5).

არსებული რეგულაციების მიხედვით, დოქტორანტს მინიმუმ სამი პუბლიკაცია (ნაშრომი/სტატია) უნდა ჰქონდეს გამოქვეყნებული დისერტაციის თემასთან დაკავშირებით. ეს ნაშრომები უნდა იყოს გამოქვეყნებული ან მიღებული გამოქვეყნებისთვის საზღვარგარეთ ან საქართველოში, შესაბამის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებულ, რეფერირებად ჟურნალებში, ან მაღალი რეპუტაციის მქონე საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში ან საკონფერენციო მასალებში. თუმცა, Scopus- ის ბაზაში სტატიების გამოქვეყნების მოთხოვნა მხოლოდ მათემატიკის სადოქტორო პროგრამის სტუდენტებზე ვრცელდება. ექსპერტთა ჯგუფმა გამოთქვა სურვილი, რომ ყველა სადოქტორო პროგრამის სტუდენტმა გამოაქვეყნოს მინიმუმ ერთი სტატია ისეთ ჟურნალში, რომელიც ინდექსირებულია Web of Science (Clarivate Analytics), ERIH PLUS (European Reference Index of the Humanities) ან Scopus-ის ბაზებში. ეს დააწესებს კვლევითი სტატიების მაღალ სტანდარტებს და კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს საგანმანათლებლო პროგრამების კვლევითი ხარისხის გაუმჯობესებას.

რეკომენდაციები:

რჩევები:

სასურველია, რომ ყველა დოქტორანტისათვის სავალდებულო იყოს ერთი სტატიის გამოქვეყნება მაინც ისეთ ჟურნალში, რომელიც ინდექსირებულია Web of Science (Clarivate Analytics), ERIH PLUS (European Reference Index of the Humanities), ან Scopus ბაზებში, რაც სტატიების მაღალ სტანდარტს დააწესებს და ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამებზე კვლევის ხარისხის გაუმჯობესებას.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსუ- ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტმა შეიმუშავა კვლევითი პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ძირითადი კვლევითი მიმართულებების განსაზღვრას: საერთაშორისო აკადემიურ სისტემაში ჩართულობის ზრდას, ინოვაციური ცოდნის მიმართულებით სამეცნიერო კვლევების განხორციელებას, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების მოზიდვას უნივერსიტეტის პერსონალის აქტიური მონაწილეობისთვის საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო პროექტებში. დეპარტამენტი საქმიან კონტაქტებს ამყარებს უცხოეთის უნივერსიტეტებთან, არასაუნივერსიტეტო სამეცნიერო ცენტრებთან, სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებთან, რათა ხელი შეუწყოს სამეცნიერო კვლევებს და ინოვაციური პროექტების განხორციელებას.

დეპარტამენტი ქმნის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს (ცენტრებს, ინსტიტუტებს, ლაბორატორიებს და სხვა), რომლებიც აერთიანებს დამოუკიდებელ და ხელშემწყობ კვლევით ერთეულებს უნივერსიტეტის კვლევით და სასწავლო პროცესებში. ასევე, დეპარტამენტი ქმნის შიდა გრანტებისა და კვლევების დაფინანსების საუნივერსიტეტო სისტემას, რათა წაახალისოს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის კვლევითი მუშაობა. შემოტანილია პოსტდოქტორანტურის სისტემა და პოსტდოქტორანტების ინტეგრაცია სწავლებასა და კვლევაში, რაც ხელს უწყობს ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევითი საქმიანობას, პროფესიული განვითარებისა და პროფესიული კვლევითი პროგრამების განხორციელებას (სტაჟირება, ტრენინგები, ერთობლივი სამეცნიერო კვლევები).

ლექციებისა და სემინარების ჩასატარებლად მოწვეულები არიან სხვადასხვა დისციპლინაში ავტორიტეტის მქონე მეცნიერები. უცხოურ უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო ცენტრებთან პარტნიორობით, გაუმჯობესდა კვლევების ხარისხი სწავლისა და კვლევების ინტეგრაციით (კვლევით ინფორმირებული სწავლების მაგალითი) და კვლევის ეთიკისა და ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერით.

წარდგენილი დოკუმენტების მიხედვით, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობებისთვის ყოველწლიური ბიუჯეტი 2018 წლიდან 2024 წლამდე თითქმის გაორმაგდა. თუ 2018 წელს დაფინანსება შეადგენდა 221 000 ლარს, 2024 წელს ამ თანხამ 350 000 ლარს მიაღწია. 2018-2024 წლებში სსუს ჰქონდა პოლიტიკა, რომელიც ფინანსურად უზრუნველყოფდა აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მონაწილეობას კონფერენციებში, სემინარებში, კონგრესებში, ფორუმებსა და სხვა ღონისძიებებში. ამ პოლიტიკის ფარგლებში, დაფინანსების განაწილებას ფაკულტეტების ბიუჯეტების შესაბამისად ახორციელებდნენ ფაკულტეტების საბჭოები. დაფინანსებაზე განმცხადებელთა რაოდენობის ზრდის გამო, საჭირო გახდა კონკურენტული დაფინანსება. შედეგად, 2022 წელს ძალაში შევიდა ახალი პოლიტიკა, რომელიც მხარს უჭერს სსუ-ის პერსონალის პროფესიულ განვითარებას და სტატიების გამოქვეყნებას.

ახალი პოლიტიკა აფინანსებს აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობის პირების ტრენინგებს, სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობას და სტატიების გამოქვეყნებას მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ბაზებში. სსუ-ში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმები მოიცავს დამოუკიდებელი კვლევითი ერთეულებისა და მიზნობრივი შიდა საუნივერსიტეტო პროექტების დაფინანსებას, ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის დაფინანსებას და მაღალი

რეიტინგის მქონე ჟურნალებში პუბლიკაციების ხელშეწყობას. დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ მათ უკვე ისარგებლეს აღნიშნული სქემებით: ზოგმა მიიღო ფინანსური მხარდაჭერა მაღალი რეიტინგის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნების შემდეგ, სხვებმა კი შიდა კვლევითი მხარდაჭერა მოიპოვეს. აკადემიური პერსონალი კვლევითი მიზნებისათვის, სარგებლობს 6- თვიანი აკადემიური შვებულებით 5 წელიწადში ერთხელ, რაც სრულად ფინანსდება; გარდა ამისა,მათ წლის განმავლობაში ოთხჯერ შეუძლიათ მიიღონ ფინანსური ბონუსი.

უნივერსიტეტი იყენებს ეფექტურ სისტემას ახალი პერსონალის მოზიდვისა და მათი კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერისათვის, აგრეთვე მხარს უჭერს მაგისტრანტების, დოქტორანტებისა და პოსტდოქტორანტების ჩართულობას უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში და ხელს უწყობს მათ ინიციატივებს. 2018 წლიდან სსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი ხელს უწყობს საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის ინტეგრაციას, ორგანიზებას უწევს სამეცნიერო ღონისძიებებს, სემინარებს, კონფერენციებსა და კონგრესებს. კონფერენციების შესახებ დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ:

საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციები:

2024 წლის 17 ივნისი. ახალგაზრდა მეცნიერებისა და დოქტორანტების II საერთაშორისო კონფერენცია - „ისტორია, კულტურა, განათლება, ინტერდისციპლინური კვლევები“; 2023 წლის 26-27 ივლისი: ეროვნული სტუდენტური კონფერენცია „ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმები“, რომელიც ეძღვნებოდა ადამიანის უფლებათა დეკლარაციის მიღების 75-ე წლისთავს; 2023 წელი: საერთაშორისო სტუდენტური კონფერენცია - „ჰოლოკოსტის, გენოციდის დანაშაულის დასჯისა და ადამიანის უფლებათა დაცვის გამოწვევები“; 2022 წლის 13-14 ივნისი: სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ევროპული ინტეგრაცია - ადამიანის უფლებების დაცვა“; 2020 წლის 23-24 დეკემბერი: ახალგაზრდა მეცნიერებისა და დოქტორანტების საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „ისტორია, კულტურა, განათლება, ინტერდისციპლინური კვლევები“.

ეროვნულ სამეცნიერო სტუდენტური კონფერენციებში შედის:

2023 წლის 26-27 ივლისი: ეროვნული სტუდენტური კონფერენცია "ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმები", რომელიც ეძღვნებოდა ადამიანის უფლებათა დეკლარაციის მიღების 75-ე წლისთავს. სტუდენტთა ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია "ქრონომეტრი". 2015 წლიდან სსუ- ში ჩატარდა ცხრა ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია. ანგარიშში წარმოდგენილია მხოლოდ სტუდენტთა ეროვნული სამეცნიერო კონფერენციები, რომლებიც ჩატარდა 2018-2024 აკადემიურ პერიოდში (https://www.sou.edu.ge/content/3/11/147/86/49):-27 წლის 2023 ივლისი

o2024 წლის 27 ივნისი: სტუდენტთა ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია - ჟამთააღმწერელი IX.

23-24 ივნისი, 2023 სტუდენტთა ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია - ჟამთააღმწერელი VIII.

22-23 ივნისი, 2022 სტუდენტთა ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია - ჟამთააღმწერელი VII.

2020 წლის 3, 4, 6 ივლისი: სტუდენტთა ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია - ჟამთააღმწერელი VI.

18-20 ივნისი, 2019 სტუდენტთა ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია - ჟამთააღმწერელი V.

13-14 ივნისი, 2018 სტუდენტთა ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია - ჟამთააღმწერელი IV.

2020-2024 წლებში უნივერსიტეტში ჩატარდა 16 საფაკულტეტო კონფერენცია

უნივერსიტეტი სტუდენტებსა და პერსონალს უწევს კონსულტაციას კვლევების ჩატარების საკითხებზე, აცნობს სახელმწიფო და საუნივერსიტეტო საგრანტო პროექტებს და უზრუნველყოფს პროექტის მართვასთან დაკავშირებული კონსულტაციებით. გარდა ამისა, ის ხელს უწყობს სამეცნიერო საგრანტო კონკურსებში მონაწილეობას, საჭირო დოკუმენტაციის მომზადებაში დახმარებით. საერთაშორისო და ეროვნული სამეცნიერო ფონდებიდან კვლევითი პროექტების დაფინანსება უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს, მაღალი ხარისხის სამეცნიერო პროდუქტი შესთავაზოს საზოგადოებას. 2020-2024 წლებში ასეთი მრავალი აქტივობა განხორციელდა.

სსუ ახორციელებს ერთობლივ კვლევით საქმიანობებს საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად. ის ჩართულია ევროკავშირის სამეცნიერო-კვლევით პროგრამებში და აქვს ინსტიტუციური თანამშრომლობა საერთაშორისო მეცნიერებასთან. საერთაშორისო თანამშრომლობის შედეგად, 2018-2024 წლებში სსუმ სხვადასხვა პროექტის ფარგლებში 50-ზე მეტ უცხოელ პროფესორს უმასპინძლა. უნივერსიტეტი აფინანსებს და მხარს უჭერს საუნივერსიტეტთაშორისი პროექტების იდენტიფიცირებასა და განვითარებას. ის ასევე აფინანსებს სსუ-სა და სხვა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების ერთობლივ პროექტებს. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ოთხი ერთობლივი პროექტი - აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან, თურქეთის ისტორიულ საზოგადოებასთან და კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრთან თანამშრომლობით.

უნივერსიტეტის გამოცემები, რომლებშიც როგორც უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, ისე უცხოელი კოლეგების ნაშრომებია დაბეჭდილი, უნივერსიტეტთაშორისი პროექტების პოპულარიზაციის ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს. სსუ- მ უცხოელ პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად დააარსა საერთაშორისო პერიოდული სამეცნიერო გამოცემა "გლობალური სამყარო". გარდა ამისა, სსუ-ს ბაზაზე და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მხარდაჭერით იბეჭდება საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალები: წლიური გამოცემა „ისტორიული კვლევები“, „ინტერკულტურული კომუნიკაციები“, „განათლება“ და სხვა.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ დოქტორანტთა ნაწილმა ისარგებლა სხვადასხვა ეროვნული და საერთაშორისო დაფინანსებით და პროექტებით. უნივერსიტეტი გეგმავს დოქტორანტებისა და სტუდენტების მხარდაჭერის გაძლიერებას არსებული ფინანსური სქემების პოპულარიზაციითა და ახალი მექანიზმების შექმნით: მალე ამოქმედდება გიორგი შარვაშიძის ფონდი და ილია ვეკუას ფონდი, რაც პოზიტიურ გავლენას მოახდენს თავად კვლევით პროექტებზე.

სსუ- ში მდებარეობს Horizon Europe- ის ოფისი და მოსალოდნელია, რომ ის ხელს შეუწყობს ევროპულ პროექტებში ჩართულობას. პარალელურად, უნივერსიტეტში მოქმედებს პერსონალის საერთაშორისო მობილობისა და Jean Monnet პროგრამის ეფექტიანი გამოყენების სტიმულირების პოლიტიკა. უნივერსიტეტი მხარს უჭერს საერთაშორისო და ადგილობრივი პროფესორების ერთობლივი სამეცნიერო ხელმძღვანელობის პრაქტიკას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:
რეკომენდაციები: წინადადება (წინადადებები), რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების შესასრულებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება
უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსუ რეგულარულად აფასებს და აანალიზებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობების ხარისხსა და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების ეფექტურობას. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობების მონიტორინგსა და შეფასებას. დეპარტამენტი სსუ- ის აკადემიური პერსონალის წლიურ სამეცნიერო ანგარიშს წარუდგენს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას გარე მონიტორინგისა და შეფასებისთვის, რომელიც სამეცნიერო ანგარიშებს მიმართულებების მიხედვით ანაწილებს შეფასებისათვის. აღნიშნული შეფასება დეპარტამენტს უბრუნდება მიმართულებების მიხედვით, რომლებიც განიხილავენ არსებულ პრობლემებს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მონიტორინგისა და შეფასებების საერთო სურათი მაღალია, თუმცა ინდივიდუალურ მიმართულებებში დაფიქსირებულია დამაკმაყოფილებელი და საშუალო შეფასებები. უნივერსიტეტში სამეცნიერო საქმიანობების შიდა მონიტორინგს ახორციელებს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებებისა და დადგენილებების საფუძველზე.

აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა „სწავლების ხარისხის განვითარების შეფასების მექანიზმები“, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამეცნიერო ნაშრომების შეფასებას. შეფასების ძირითადი კრიტერიუმებია: კვლევის შედეგები, პუბლიკაციები (ციტირების კოეფიციენტები) და პატენტები. კონკრეტული საქმიანობების შეფასება რეგულირდება დადგენილი წესით, კატეგორიებისთვის განსაზღვრული ქულებით. ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება მხედველობაში იყვნენ მიღებული დოქტორანტები და მაგისტრანტებიც. მნიშვნელოვნადაა მიჩნეული სტუდენტების მონაწილეობა კვლევით საქმიანობებში, ახალგაზრდა კვლევითი პერსონალის არსებობა, ასევე კვლევითი შემოსავალი - ადგილობრივი და/ ან საერთაშორისო გრანტები ან პირდაპირი შეკვეთები - კონფერენციები და კვლევითი გარემო - შესაბამისი ინფრასტრუქტურა (ლაბორატორიები, აღჭურვილობა და საველე სამუშაოები).

ამავდროულად, თანამშრომელთა შეფასების პროცესში მნიშვნელოვნი მიღწევა მოიცავს სამეცნიერო კომპეტენციას – შესაბამის აკადემიურ ხარისხს, პუბლიკაციებს, სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობას, პროფესიული ორგანიზაციების წევრობასა და აქტივობებს. მნიშვნელოვანი ფაქტორია სამეცნიერო პროექტებისთვის ადგილობრივი ან საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან მოზიდული ან მიღებული დაფინანსების მოცულობა.

უნივერსიტეტისთვის ასევე მნიშვნელოვანია თანამშრომლობითი პროექტების გათვალისწინება – რამდენადაა გრანტი მიღბული სხვა სამუშაო ჯგუფებთან ერთად, როგორიცაა დარგობრივი კომისიების წევრობა; დარგობრივი სამეცნიერო ჟურნალების რედაქტორთა საბჭოს წევრობა და დოქტორანტთა რაოდენობა/დისერტაციები, რომლებიც დაცულია უშუალო ხელმძღვანელობით.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ აკადემიური პერსონალი ყოველწლიურად ანგარიშს წარუდგენს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტს საკუთარი სამეცნიერო- კვლევითი საქმიანობების შესახებ, რომელიც შემდეგ იგზავნება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში. გარდა თანამშრომელთა თვითშეფასების ანგარიშებისა,

პერიოდულად ტარდება ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან მათი საქმიანობისა და სამომავლო გეგმების შესახებ. უნივერსიტეტი აგროვებს თვისებრივ მონაცემებსაც, აკადემიურ პერსონალთან და მკვლევარებთან პერიოდული ინტერვიუების მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება სამეცნიერო საქმიანობების შემდგომი განვითარებისათვის. სსუ რეგულარულად აქვეყნებს განხორციელებული კვლევითი საქმიანობების ანგარიშებს უნივერსიტეტის ვებგვერდზე. სპორტის უნივერსიტეტი ოფიციალურ ვებგვერდზე რეგულარულად აქვეყნებს ანგარიშებს განხორციელებული კვლევითი საქმიანობების შესახებ.

თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი ხედავს გამოწვევას შეფასების პროცესებში ელექტრონული/ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების დაბალი ხარისხის გამო. გამოყენებული ელექტრონული სისტემა, რომელშიც პასუხისმგებელი პირები ფასდებიან პერსონალის მიერ, განსაზღვრული კრიტერიუმებით, პერსონალის თვითშეფასებების საფუძველზე, ხელს შეუწყობს ხარჯეფექტურობასა და დროის დაზოგვას. ამ სისტემაში, პერსონალის პირდაპირ შეფასების ნაცვლად, პასუხისმგებელი პირები მხოლოდ თვითშეფასებაში მოცემული ინფორმაციის სისწორეს დაადასტურებდნენ. ამის შემდეგ სისტემა ავტომატურად შექმნიდა შეფასებებს დადასტურებული ინფორმაციის საფუძველზე.

ახალი სისტემა გაუმჯობესებს აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების ანალიზს და ხელს შეუწყობს შესაბამისი პერსონალისთვის წახალისების ზომების დანერგვას დადგენილი რეგულაციების შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:
რეკომენდაციები: წინადადება (წინადადებები), რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების შესასრულებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1. მატერიალური რესურსები

- უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას.
- დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა.
- დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.
- დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მატერიალური რესურსები (უძრავი და მოძრავი ქონება), რომლებიც უნივერსიტეტის საკუთრებაში ან კანონიერი მფლობელობის ქვეშაა, ემსახურება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო მიზნებს და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის, ასევე არსებული ან დაგეგმილი სტუდენტთა რაოდენობის მოთხოვნებს.

2024 წლის მდგომარეობით, სსუ-ს აქვს ორი საგანმანათლებლო შენობა (თბილისი, პოლიტკოვსკაიას 61; პოლიტკოვსკაიას 26), რომლებიც უნივერსიტეტის კანონიერი მფლობელობის ქვეშაა. პოლიტკოვსკაიას 26-ში მდებარე შენობა დროებით მფლობელობაშია და სახელმწიფო საკუთრებაში დაბრუნდება, როგორც კი აფხაზეთან შორის ეთნიკური კონფლიქტი დასრულდება და სსუ დაბრუნდება სოხუმში – საქართველოს სეპარატისტული აფხაზეთის რეგიონის დედაქალაქში.

ძირითადი შენობა, რომელიც სრულად არის უნივერსიტეტის საკუთრებაში, მოიცავს შემდეგ სივრცეებს: ფოიე, სარეკრეაციო ზონები, თეორიული სწავლების აუდიტორიები, ადმინისტრაციული ოფისები, ჯგუფური მუშაობისთვის განკუთვნილი სივრცე, სანიტარულ-ჰიგიენური ერთეულები, ბიბლიოთეკა, დარგის სპეფიციკის შესაბამისი ლაბორატორია,, სასწავლო აუდიტორიები და არქივი. სხვადასხვა ერთეულების გადანაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურ განხორციელებას. ორივე შენობის საერთო ფართობი შეადგენს 14,808.01 კვ.მ-ს, საიდანაც 7,227.19 კვ.მ არის საგანმანათლებლო სივრცე და 7,385.82 კვ.მ – დამხმარე სივრცე.

უძრავი ქონების კანონიერი მფლობელობა ეფუძნება წერილობით შეთანხმებებს და ამ უფლების რეგისტრაციას საჯარო რეესტრში.

უძრავი ქონება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ და მინიჭებული აქვს შესაბამისი საკადასტრო კოდები (ს/კ 01.14.05.005.003; ს/კ 01.14.05.005.134). აზომვითი ნახაზები ასახავს სასწავლო და დამხმარე სივრცეებს, როგორც ცალკეულ ერთეულებს. ბოლო წლებში განხორციელდა შენობების რემონტი და ახალი რესურსების, ავეჯისა და აღჭურვილობის დამატება სასწავლო აუდიტორიებში და ფოიეებში. ამ ეტაპზე აუდიტორიების რაოდენობა საკმარისია სტუდენტთა არსებული რაოდენობისათვის, რომელიც 3,134-ს შეადგენს.

ორივე შენობაში განთავსებულია რვა ლაბორატორია, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის. უნივერსიტეტის მიერ პირველადაა შექმნილი მიზნობრივად აშენებული ლაბორატორია, რომელიც ხელმისაწვდომია, ყველა მეცნიერებაზე ორიენტირებული და მეცნიერებით დაინტერესებული სტუდენტისათვის.

ორივე შენობაში განთავსებულია ფოიე, სასწავლო და სალექციო აუდიტორიები, სასწავლო კაბინეტები, საკონფერენციო და საპრეზენტაციო დარბაზები და ბიბლიოთეკა. გარდა ამისა, არსებობს გამოცდების ცენტრი, ჯგუფური მუშაობის სივრცეები, ადმინისტრაციული სივრცეები და სანიტარიული ერთეულები. 2018 წლის ავტორიზაციის შემდეგ, ინფრასტრუქტურა და დამხმარე რესურსები გაუმჯობესდა პერსონალისა და სტუდენტების საჭიროებების შესაბამისად. სასწავლო აუდიტორიებში უზრუნველყოფილია როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათება და ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის სისტემა.

სსუ-ს გარემო შეფასებულია როგორც ადეკვატური საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად, თუმცა კვლავ საჭიროებს გაუმჯობესებას. 2008 წლის სექტემბრიდან სსუ დამოუკიდებლად სარგებლობს "თელმიკოს" მომსახურებით. ყველა სართულზე უზრუნველყოფილია სველი წერტილები, ცენტრალური წყალმომარაგება, კანალიზაცია და ელექტროქსელი. დაცულია სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები. ბოლო წლებში პერიოდულად მიმდინარეობდა სველი წერტილების განახლება და რემონტი. მათ გააჩნიათ უწყვეტი განათება. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ ძირითად შენობაში საპირფარეშოების მდგომარეობა საჭიროებს რემონტსა და მნიშვნელოვან განახლებას, ვინაიდან ზოგიერთი მათგანი, ექსპერტთა აზრით, შესაძლოა შეიცავდეს რისკებს ჯანმრთელობისთვის.

საკონფერენციო დარბაზები, საპრეზენტაციო და სამკითხველო დარბაზები, ჯგუფური მუშაობის სივრცეები და ადმინისტრაციული სივრცეების ძირითადი ნაწილი უზრუნველყოფილია კონდიცირების სისტემით.

ორივე საგანმანათლებლო შენობაში ფუნქციონირებს სამედიცინო დახმარების ცენტრები. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით ხელშეკრულება გაფორმებულია სადაზღვევო კომპანიასთან "ჯი-პი-აი ჰოლდინგი", რაც უზრუნველყოფს პოლიტკოვსკაიას 26-ში სამედიცინო ცენტრის ფუნქციონირებას. ამით უზრუნველყოფილია ექიმების ხელმისაწვდომობა და პირველადი სამედიცინო დახმარება როგორც პერსონალისთვის, ისე სტუდენტებისთვის.

ორივე შენობაში უზრუნველყოფილია სრული უსაფრთხოება, როგორც შიდა, ისე გარე პერიმეტრზე. ორივე შენობაში, სასწავლო შენობების გარე პერიმეტრსა და პირველ სართულებზე დამონტაჟებულია ვიდეოკონტროლის კამერები. დაგეგმილია მათი დაყენება ყველა სართულზე. მიღწეულია სსუს საგანმანათლებლო შენობების შიდა და გარე პრიმეტრების სრული კონტროლი. უნივერსიტეტმა გააფორმა სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება შპს მაგისტრთან, რომელიც უზრუნველყოფს შენობებში განგაშის სისტემას.

სსუ უზრუნველყოფს სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის ადაპტირებულ გარემოს. უნივერსიტეტის შესასვლელები აღჭურვილია სპეციალური პანდუსებით, ასევე, მეორე სასწავლო შენობაში (პოლიტკოვსკაიას 26) დამონტაჟებულია ვერტიკალური ამწე/პლატფორმა. გარდა ამისა, ორივე შენობაში ფუნქციონირებს ლიფტები, ხოლო პირველი სართულის სველი წერტილები მოდიფიცირებულია შესაბამისი მოთხოვნების შესაბამისად. უზრუნველყოფილია ბიბლიოთეკასა და კომპიუტერულ კლასზე მარტივად წვდომა, აგრეთვე ადმინისტრაციასთან და შესაბამის სერვისებთან მისვლა, და სხვა სერვისული სივრცეების გამოყენება, სსუ-ის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს ევალებათ, უზრუნველყონ სპეციალური საჭიროებების მქონე პირების დახმარება, რათა მათ შეძლონ უნივერსიტეტის შენობებსა და მიმდებარე ტერიტორიაზე შეუფერხებლად და კომფორტულად გადაადგილება.

უნივერსიტეტის სასწავლო და დამხმარე სივრცეების გაყოფა შესაძლებელია შენობის აზომვითი ნახაზების საფუძველზე. საგანმანათლებლო სივრცე, რომელიც დაახლოებით 50%-ს წარმოადგენს, გამოიყენება სწავლება-სწავლის მიზნებისათვის კერძოდ: სასწავლო აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, პროფესორების ოფისები (სადაც ისინი კონსულტაციას უწევენ სტუდენტებს), სასწავლო/სამეცნიერო-კვლევითი

ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა (წიგნსაცავის გარდა) და სხვა სივრცეები, რომლებიც განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე.

სსუ ამჟამად ატარებს სარემონტო სამუშაოებს პოლიტკოვსკაიას 61 ნომერში მდებარე ძირითადი შენობის ერთ სართულზე და დროებითი შენობის (პოლიტკოვსკაიას 26) ორ სართულზე, რათა შეიქმნას დამატებითი სივრცე სტუდენტებისა და სასწავლო პროცესისთვის.

სსუ-ს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელსაც თავად უნივერსიტეტიც აღიარებს, არის საერთო საცხოვრებლის არარსებობა. თუმცა, ამ ვითარების შემსუბუქების მიზნით, საქართველოს მთავრობა აშენებს საერთო საცხოვრებლებს ორი მთავარი სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის, და ამ უნივერსიტეტებს ევალებათ, გამოყონ საერთო საცხოვრებლის ოთახების 10% სსუ-ისთვის.

გაფართოებასთან და ზრდასთან დაკავშირებით, ამჟამად აქტიური სტუდენტების რაოდენობა 3,134-ს შეადგენს, ხოლო შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტების საერთო რაოდენობა არის 1,698. სტუდენტთა მიღების მომავალი ზღვარი 4,500 სტუდენტს შეადგენს. აღნიშნული ზღვრის შესახებ ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა დეტალური განხილვები სხვადასხვა პროფესიულ პერსონალთან. თანამშრომელთა უმეტესობამ ენთუზიაზმი გამოხატეს ამ ზღვარის მიღწევის მიმართ, თუმცა ზოგიერთი მოითხოვდა თანდათანობით გაზრდას, რაც საბოლოო ჯამში SSU-ს სამომავლო პერსპექტივებისთვის ყველაზე სავარაუდო პროცესია.

ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ სტუდენტების რაოდენობის ზრდამდე აუცილებელია ყველა სარემონტო სამუშაოსა და დამატებითი სივრცეების შექმნის დასრულება. რაც შეეხება პროფესორ-მასწავლებლების დამატებას სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობის დასაკმაყოფილებლად, ექსპერტებმა აღმოაჩინეს, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამჟამად მუშაობს თანამშრომელთა და სტუდენტთა რაოდენობის თანაფარდობის დოკუმენტზე, რომელიც უზრუნველყოფს ამ კითხვებზე პასუხებს, როგორც ამჟამინდელი, ისე სამომავლო დაგეგმვისთვის.

აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი დარწმუნებულია, რომ სსუ-ს აქვს მატერიალური და ეკონომიკური შესაძლებლობები, როგორც ამჟამად, ასევე მომავალში, რათა უზრუნველყოს ხარისხიანი განათლება ყველა სტუდენტისთვის 4,500 სტუდენტის ზღვრამდე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, 2025 წლის იანვრის დასაწყისისთვის შიდა სართულების რემონტის დასრულება და გააგრძელოს შემდგომი მუშაობა შეზღუდული შესაძლებლობებისა და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე სტუდენტების პირობების შესაქმენლად, აღნიშნული კატეგორიის სტუდენტების მოზდივის უნივერსიტეტის მზარდი ინტერესის შესაბამისად.

რჩევები:

სასურველია, გაუმჯობესდეს ორივე შენობის ფასადი, იმისათვის, რომ ისინი უფრო მეტად შეესაბამებოდნენ უნივერსიტეტის სტატუსის მქონე დაწესებულებებს, ასევე სასურველია, სოხუმის სახელწმიფო უნივერსიტეტმა ფოიეებში უზრუნველყოს მიმზიდველი და პროფესიონალური ზოგადი მისაღები სივრცეები.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
7.2. ბიბლიოთეკის რესურსები
ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსუ-მ შექმნა მოცულობითი საბიბლიოთეკო სისტემა, რომელიც ხელს უწყობს საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას. უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ინფრასტრუქტურა მოიცავს როგორც ფიზიკურ, ისე ციფრულ რესურსებს და მათი ფუნქციონირება უზრუნველყოფილია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალით. სსუ- ში ბიბლიოთეკები ფუნქციონირებს უნივერსიტეტის ორ სასწავლო შენობაში. ორივე ბიბლიოთეკა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად არის აღჭურვილი და გააჩნია განახლებული ინფრასტრუქტურა და ციფრული რესურსები, რაც სტუდენტებსა და პერსონალს საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობაში უჭერს მხარს.

პოლიტკოვსკაიას 26 ნომერში, პირველი სართული მოიცავს ახლად მოწყობილ სამკითხველო დარბაზს, რომელიც 84 დასაჯდომ ადგილს შეიცავს. აქ განთავსებულია სპეციალური სივრცე აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, აღჭურვილი 14 ინტერნეტთან დაკავშირებული კომპიუტერით. მომხმარებლებს ასევე აქვთ წვდომა უკაბელო ინტერნეტზე, ბეჭდვის, ფოტოკოპირებისა და სკანირების სერვისებზე.

პოლიტკოვსკაიას 61 ნომერში, პირველი სართულის სამკითხველო დარბაზი 50 ადგილით არის აღჭურვილი და მოიცავს თავისუფალ კომპიუტერულ სივრცეს ინტერნეტთან დაკავშირებული 15 კომპიუტერით. ასევე ხელმისაწვდომია უკაბელო ინტერნეტი, ბეჭდვის, ფოტოკოპირებისა და სკანირების სერვისები.

ორივე ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს ოპტიმალურ სამუშაო საათებს და კვირაში ექვსი დღე ფუნქციონირებს (ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 09:00-დან 20:00 საათამდე, ხოლო შაბათს 09:00-დან 14:00 საათამდე). ეს გრაფიკი საშუალებას აძლევს როგორც სტუდენტებს, ისე პერსონალს, ჰქონდეთ საკმარისი წვდომა რესურსებზე აკადემიური მიზნებისთვის.

სსუ-ს ბიბლიოთეკის კოლექცია მოიცავს დაახლოებით 43,885 ბეჭდურ წიგნს და 1,000-მდე ციფრულ სახელმძღვანელოს, სასწავლო წიგნებს, სალექციო კურსებსა და რიდერებს. ბიბლიოთეკას გააჩნია ელექტრონული კატალოგი და აქვს ე-ბიბლიოთეკის ვებსაიტი. უნივერსიტეტის სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა ხელმისაწვდომია აკადემიური პროგრამების მხარდასაჭერად, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების წვდომას საჭირო რესურსებზე სწავლისა და კვლევისათვის. ბიბლიოთეკა ასევე თანამშრომლობს შპს „Planet Forte"- სთან, რაც უზრუნველყოფს პერიოდულ გამოცემებზე წვდომას.

უნივერსიტეტი ინტეგრირებულია ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ქსელში და უზრუნველყოფილია სამეცნიერო რესურსებზე წვდომა შპს „Innovative System Management"-თან გაფორმებული ხელშეკრულების მეშვეობით. სსუ ასევე არის საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის კონსორციუმის წევრი, რაც უნივერსიტეტს აძლევს საშუალებას გამოიყენოს ფართო სპექტრის საერთაშორისო ელექტრონული რესურსები, მათ შორის: ACM Digital Library; Cambridge Journals Online; e-Duke Journals Scholarly Collection; Edward Elgar Publishing; Journals and Development Studies e-books; European Respiratory Journal; IMechE Journals; Mathematical Sciences Publishers Journals; OpenEdition Journals; Royal Society Journals Collection; SAGE Journals; The Company of Biologist Journal.

ეს პარტნიორობები უზრუნველყოფს სტუდენტებისა და პერსონალის წვდომას მაღალი ხარისხის აკადემიურ და სამეცნიერო მასალებზე, რაც ხელს უწყობს უნივერსიტეტის ნაკისრ ვალდებულებებს კვლევისა და განვითარების მიმართულებით.

უნივერსიტეტმა გააფართოვა რესურსებზე წვდომა საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობის მემორანდუმის საშუალებით, რაც პერსონალსა და სტუდენტებს მისი ინრასტრუქტურის გამოყენების საშუალებას აძლევს. გარდა ამისა, უნივერსიტეტი მონაწილეობს ბიბლიოთეკათაშორის სესხების სერვისში სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ ბევრი სტუდენტი ამ სერვისის შესახებ ინფორმირებული არ იყო. უნივერსიტეტმა ასევე გააფორმა კონტრაქტები მრავალ საერთაშორისო ციფრულ რესურსის პროვაიდერთან, მათ შორის Thomson- Reuters, JSTOR და EBSCO- თან, რათა გააუმჯობესოს წვდომა სამეცნიერო და აკადემიურ პუბლიკაციებზე.

ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ ბიბლიოთეკის პერსონალი კვალიფიციურია და რეგულარულად მონაწილეობს ტრენინგებში, რათა გაეცნოს ბიბლიოთეკის მენეჯმენტისა და ციფრული რესურსების გამოყენების მიმართლებით უახლეს მიღწევებს. ისინი აქტიურად აწვდიან კონსულტაციებს და ეხმარებიან სტუდენტებსა და პერსონალს შესაბამისი რესურსების მოძიებაში მათი აკადემიური საქმიანობისთვის. ბიბლიოთეკის გუნდი ასევე ატარებს ტრენინგებსა და შეხვედრებს, არსებული რესურსებისა და ციფრული ხელსაწყოების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად.

სსუ რეგულარულად ატარებს კვლევებს, რათა შეაფასოს სტუდენტების კმაყოფილება ბიბლიოთეკის სერვისებითა და რესურსებით. ბოლო კვლევების შედეგები მიუთითებს სტუდენტთა კმაყოფილების ზრდაზე 2018 წელთან შედარებით, რაც ბიბლიოთეკის სერვისებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას ასახავს. ეს მიუთითებს, რომ უნივერსიტეტის ძალისხმევამ ინფრასტრუქტურისა და ბიბლიოთეკის რესურსების განახლების მიმართულებით დადებითი გავლენა იქონია მომხმარებელთა გამოცდილებაზე.

2023 წლის კვლევამ გამოკვეთა შემდეგი ტენდენციები: გაზრდილი კმაყოფილება ბიბლიოთეკის სერვისებითა და რესურსებით; თანამედროვე სამკითხველო დარბაზებისა და ინტერნეტზე წვდომის დადებითი შეფასება; და სივრცისა და რესურსების ხელმისაწვდომობის შემდგომი გაუმჯობესების უწყვეტი მოთხოვნა.

უნივერსიტეტი გამოყოფს საბიუჯეტო სახსრებს ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განუწყვეტელი განახლებისათვის. ეს შეესაბამება უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმას, რომელშიც ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურის განვითარება პრიორიტეტია.

ბიბლიოთეკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ყველა საფეხურის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის, მათი საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერის კუთხით. საბიბლითეკო რესურსები, განსაკუთრებით ციფრული მონაცემთა ბაზები, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სხვადასხვა დისციპლინაში უახლესი ცოდნის შენარჩუნებისთვის. უნივერსიტეტი აქტიურად უწყობს ხელს საზოგადოების სოციალურ, კულტურულ და აკადემიურ განვითარებას სხვადასხვა ინიციატივების საშუალებით, სადაც ბიბლიოთეკა ძალისხმევის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს.

სსუ-ს ბიბლიოთეკის სისტემა აკმაყოფილებს საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მოთხოვნებს თანამედროვე ინფრასტრუქტურის, ბეჭდური და ციფრული რესურსების ფართო კოლექციის და საერთაშორისო აკადემიურ მონაცემთა ბაზებზე წვდომის მეშვეობით. უნივერსიტეტი მუდმივად განვითარებაზეა ორიენტირებული მომხმარებელთა უკუკავშირის გათვალისწინებით, და ეს აღბეჭდილია სტრატეგიულ გეგმაში და საბიბლიოთეკო სერვისების ბოლოდროინდელ გაუმჯობესებებშიც. ინფრასტრუქტურასა და რესურსებში უწყვეტი ინვესტირება უზრუნველყოფს, რომ ბიბლიოთეკამ განაგრძოს ინსტიტუციის აკადემიური მიზნების მნიშვნელოვანი მხარდაჭერა.

ექსპერტთა ჯგუფი მოუწოდებს უნივერსიტეტს, გააგრძელოს ეს ჩართულობა, პოპულარიზაცია გაუწიოს საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენებას და წაახალისოს ფართო ჩართულობა უწყვეტი განათლების ინიციატივებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:
რეკომენდაციები: საბიბლიოთეკო ინფრასტრუქტურაში ინვესტირების განხორციელება. უნივერსიტეტმა უნდა განაგრძოს საბიბლიოთეკო ინფრასტრუქტურის განვითარებისაკენ მიმართული ძალისხმევა, განსაკუთრებით სივრცის გაფართოებისა და სწავლისა და კვლევისათვის საჭირო ინტრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით.
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
7.3 საინფორმაციო რესურსი

- უსდ - ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მათი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.
- უსდ უზრუნველყოფს ბიზნესის უწყვეტობას.
- უსდ-ს აქვს მოქმედი ვებგვერდი ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საფინანსო დეპარტამენტის დებულება სსუ-ის საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების წესდების მიხედვით: „განყოფილების ძირითადი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე უნივერსიტეტის სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის სწავლის, შრომისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესაბამისი პირობების შექმნა, უნივერსიტეტის ერთიანი საინფორმაციო სივრცის ჩამოყალიბება და მისი დაკავშირება მსოფლიო (გლობალურ) საინფორმაციო სივრცესთან თანამედროვე, მოწინავე საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვით“.

სსუ აქტიურად იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, რომელშიც შედის დაახლოებით 500-მდე პროგრამული ერთეული. კომპიუტერები და ინტერნეტი (ორივე შენობაში) ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისა და აკადემიური პერსონალისთვის. ინსტიტუციაში ფუნქციონირებს 9 კომპიუტერული კლასი (სულ 125 კომპიუტერი).

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ფასეულია როგორც საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობებისთვის, ასევე ინსტიტუციის ადმინისტრირებისა და მართვისათვის. დამატებით, უნივერსიტეტში გამოიყენება პროექტორები, კოპირების, საბეჭდი და სკანირების აპარატები. „Time“ და „Erasmus+“ აუდიტორიები აღჭურვილია ვიდეოკონფერენციის მოწყობილობებით და ჭკვიანი დაფებით.

სსუ- ში მოქმედებს ელექტრონული სერვისები და დაწესებულებაში მიმდინარეობს ახალი სერვისების შემუშავებისა და სატესტო რეჟიმში დანერგვის პროცესი. ასევე ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის მართვის სისტემა „ელგონი“, რომელიც ემსახურება ყველა აქტიურ პერსონალსა და სტუდენტს. სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში შედის:

სასწავლო პროცესის მართვის მოდული;

აკადემიური/ადმინისტრაციული რეგისტრაცია;

სტუდენტური ფინანსების მოდული;

კანცელარიის მოდული (დოკუმენტბრუნვის წარმოება/მართვა უნივერსიტეტში).

StudLab-ის ელექტრონული პლატფორმა განკუთვნილია რესურსების ელექტრონული მართვისთვის და მოიცავს: სტუდენტებისა და პროფესორების ერთიან ელექტრონულ ბაზას; მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიან დამოუკიდებელ კურსს; ქართულ ენაზე სწავლებას; საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შესაბამის საგნებს; ასევე, სხვადასხვა დაკავშირებულ პროცესებს, როგორიცაა საგნების არჩევა, სტუდენტთა შეფასება და სტუდენტის სტატუსის ცვლილება.

შეიქმნა ბაზასთან მუშაობის ინტერფეისი, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს მარტივად შეიყვანოს ინფორმაცია და ასევე მარტივად მიიღოს ინფორმაცია ბაზიდან. საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილება უზრუნველყოფს IT ინფრასტრუქტურის ადმინისტრირებასა და ხელმისაწვდომობას.

სსუ-ს აქვს ოფიციალური ვებგვერდი: www.sou.edu.ge, რომელიც მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო და საინფორმაციო ჰაბია. ამჟამად მიმდინარეობს ახალი, უფრო მაღალი წარმადობის ვებგვერდის შემუშავება, რომელიც თანდათან ივსება ინფორმაციით ქართულ და ინგლისურ ენებზე. ვებგვერდზე განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია: უნივერსიტეტის მისია; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები; პერსონალი; უნივერსიტეტის სტრუქტურა; პოლიტიკები; ავტორიზაციის დასკვნები; სამსახურები; ფაკულტეტები და პროგრამები; კვლევები და პროექტები; საერთაშორისო პარტნიორები.

დამატებით, ვებგვერდზე ხელმისაწვდომია ინფორმაცია: სტუდენტების შერჩევის კრიტერიუმებზე; პროგრამების სწავლის შედეგებზე; მინიჭებულ კვალიფიკაციებზე; სწავლებისა და სწავლის სტრატეგიებზე; შეფასების პროცედურებზე; ადმინისტრაციულ/ აკადემიურ/ კვლევით პერსონალზე; ელექტრონული ბიბლიოთეკის კატალოგზე; მარეგულირებელ დოკუმენტებზე; ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმებზე; წლიურ ანგარიშებზე; ფინანსურ ანგარიშგებებზე; ზოგად სტატისტიკაზე; არსებულ სერვისებზე; დასაქმების შესაძლებლობებზე. ვებგვერდზე მოცემული ინფორმაცია რეგულარულად ახლდება. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით ვებგვერდი შთამბეჭდავია, მის მიერ მოცეული ფართო სპექტრის ინფორმაციისა და მისი პრაქტიკული გამოყენების გათვალისწინებით. სსუ-ს ყველა მნიშვნელოვანი აკადემიური და დამხმარე საქმიანობა ზუსტად და სანდოდ არის ასახული.

რისკების შემცირების მიმართულებით IT დეპარტამენტი ფლობს მხარდაჭერის ძლიერ სტრუქტურას, რომელიც ემყარება "საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვისა და განვითარების პოლიტიკას". კიბერუსაფრთხოებისა და მისის ეფექტური დანერგვის მექანიზმები სრულად ადგილზეა. უნივერსიტეტის "ბიზნეს პროცესის უწყვეტობის გეგმა" ეფექტურია ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და შესაძლო რისკების თავიდან აცილების მიმართულებით.

სსუ ასაქმებს პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერს. ექსპერტთა ჯგუფი კმაყოფილი იყო სტრუქტურირებული მიდგომით ამ მიმართულებით და იმით, რომ პერსონალური მონაცემები დაცულია. თუმცა, ვებგვერდზე არ არის მოცმეული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ფასდება მონაცემთა დაცვა.

სსუ ზრუნავს ყველა მხარდამჭერ ტექნოლოგიაზე და უზრუნველყოფს ინსტიტუციის უწყვეტ და თანამედროვე ფუნქციონირებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, განვითარდეს ციფრული განათლების უმაღლესი სტანდარტები, იმისათვის, რომ სტუდენტები ფლობდნენ თანამედროვე ტექნოლოგიებს, რისი მოლოდინიც საკმაოდ მაღალია დამსაქმებლების მხრიდან. აღნიშნული უნდა მოიცავდეს: გაძლიერებულ საინფორმაციო ტექნოლოგიებს, სმარტ მაგიდებს და უმაღლესი დონის ციფრული ტექნოლოგიების სწავლებას

რჩევები:

სასურველია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მოწინავე ციფრული განათლების მიღწევის საშუალებად, განიხილოს საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის და განვითარების პოლიტიკის და პროცედურების (დანართი 7.8) ორგანიზება FIBAA -ს (საერთაშორისო ბიზნესის ადმინისტრირების აკრედიტაციის ფონდი) 5 სტანდარტის გათვალისწინებით: გაციფრულების სტრატეგია, პერსონალის უზრუნველყოფა, ტექნოლოგია, დიდაქტიკური სტრატეგია და ხარისხის უზრუნველყოფა. სასურველია, მიმდინარე ავტორიზაციის შუა პერიოდისთვის უნივერსიტეტმა დაგეგმოს FIBAA - ს ხარისხის მოწმობის "სრულყოფილება ციფრულ განათლებაში" მოპოვების მიზნით განაცხადის გაკეთება.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.
7.4 ფინანსური რესურსი
o უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია. o უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას. o უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე. o უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება. o უსდ - ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსუ-ის ბიუჯეტის მიერ განსაზღვრული ფინანსური რესურსები ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანია.

უნივერსიტეტის ფინანსური წყაროებია: საგანმანათლებლო პროგრამებიდან მიღებული სწავლის საფასური; ეროვნული და საერთაშორისო ფონდების სასწავლო და კვლევითი გრანტები; სხვა დაშვებული შემოსავლები, რომლებიც ეკონომიკური საქმიანობით მიიღება. სსუ დარწმუნებულია იმის ანგარიშგებაში, რომ საქართველოს სახელმწიფოს მიერ დაშვებული ყველა სახის შემოსავალი წლიდან წლამდე იზრდება.

სსუ- ის ფუნქციონირების მთელი პერიოდის განმავლობაში, გარდა იმ პროექტებისა, რომლებიც ფინანსდებოდა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ ინფრასტრუქტურული განვითარების ხელშესაწყობად, უნივერსიტეტმა ყოველთვის ვერ მიიღო სახსრები სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

უახლესი წლების შემოსავლის მონაცემები აჩვენებს, რომ დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროები უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს, ფინანსები ეფექტიანად გაანაწილოს. ინსტიტუცია განაგრძობს შემოსავლების დივერსიფიკაციის გზების ძიებას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე და ადამიანური და მატერიალური რესურსების მაქსიმალურად გამოყენებას. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ყურადღებით შესრულებით უზრუნველყოფილია ფინანსების სტაბილურობა.

ყოველივე ზემოთთქმულის გათვალისწინებით, 2024 წლის ბიუჯეტი ხელს უწყობს უნივერსიტეტის მისიის შესრულებას. უფროს თანამშრომლებთან ინტერვიუებისას, რომლის დროსაც განიხილებოდა 2024 წლის ბოლოსთვის დაგეგმილი ბალანსი - 2,927,000.00 ლარი, ექსპერტთა ჯგუფს განუმარტეს, თუ როგორ უნდა დაიხარჯოს ეს სახსრები სტუდენტთა საჭიროებებსა და რესურსებზე. ხარჯების დაგეგმვა ხორციელდება საბიუჯეტო შემოსავლების უნივერსიტეტის მასშტაბით გადანაწილების პარალელურად. ექსპერტთა ჯგუფი კმაყოფილი დარჩა მოცემული ახსნა-განმარტების საფუძვლიანობით.

უნივერსიტეტისათვის საჭირო ყველა ხარჯი შეესაბამება ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობით დამტკიცებულ და უფლებამოსილი ორგანოების მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებს, და მოიცავს: სახელმწიფო გადასახადებსა და მოსაკრებლებს; თანამშრომლების მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას და საკონტრაქტო ვალდებულებებს; ანგარიშსწორებას ფასეულობებისა და სერვისების მომწოდებლებთან; საწევრო მოსაკრებლების გადახდას; აკადემიური პერსონალის ანაზღაურებას; სტუდენტთა მობილობასა და კვლევის დაფინანსებას.

2024 წელს სსუ- ის ბიუჯეტის პრიორიტეტებია: ბიბლიოთეკის დაფინანსება; საერთაშორისო ურთიერთობები; სამეცნიერო კვლევები; ინფრასტრუქტურული პროექტები; სასწავლო გარემო; თანამშრომლების განვითარება; პუბლიკაციების მხარდაჭერა და სხვა სახის მხარდაჭერა.

სსუ-ს თანახმად, მისი წლიური ბიუჯეტი მუდმივად სანდოა და უზრუნველყოფს პრიორიტეტების შესრულებისთვის საჭირო ყველა ხარჯის დროულ დაფინანსებას. უნივერსიტეტი ასევე ამტკიცებს, რომ გააჩნია მტკიცე მატერიალური და ფინანსური ბაზა როგორც მიმდინარე, ისე გრძელვადიანი დაფინანსებისთვის. ბიბლიოთეკისა და კვლევითი

საქმიანობის დაფინანსება უსაფრთხო და პროგრესულია. ისინი შეესაბამება სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს. ფინანსური დაგეგმვის დეტალები ასახულია თვითშეფასების ანგარიშში (კომპონენტი 7.4), სადაც ნაჩვენებია შემოსავლის დინამიკის ზრდა (2019-2024).

მართვისა და კონტროლის კუთხით, სსუ-ში შეიქმნა შიდა აუდიტის სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია მონიტორინგზე, შეფასებასა და კანონიერების უზრუნველყოფაზე. ამ სამსახურის მეშვეობით ხორციელდება ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვა და დაცვა, ფინანსური ანგარიშგებების შემოწმება და ანალიზი, რეკომენდაციების შემუშავება შემდგომი ანალიზის საფუძველზე, ეს ყოველივე უზრუნველყოფილია და შიდა აუდიტის სამსახურთან ანგარიშვალდებულებას ექვემდებარება.

შიდა აუდიტის სამსახურმა შეიმუშავა 2021-2024 წლების სტრატეგიული გეგმა, რომელიც წლიური გეგმების შემუშავების საფუძველს წარმოადგენს. შიდა აუდიტის შედეგები გამოქვეყნებულია სტრატეგიული დაგეგმვის ფარგლებში 2021-2023 წლებისათვის. სამსახურის ძირითადი ფუნქციაა „უნივერსიტეტის სისტემაში ასიგნებების განაწილებისა და ხარჯვის კანონიერების, მიზნობრივი განკარგვის, მატერიალური ფასეულობებისა და სხვა საშუალებათა რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფის მონიტორინგი, შეფასება, შესაძლო დარღვევებისა და ხარვეზების რისკების განსაზღვრა.“ (შიდა აუდიტის სამსახურის წესდება).

ექსპერტთა ჯგუფმა ვერ აღმოაჩინა გარე აუდიტის რაიმე ტიპის პროცესები.

სსუ წლების განმავლობაში ავითარებს ფუნქციურ მენეჯერულ ანგარიშვალდებულებას, ძირითადად, ინსტიტუციის მასშტაბით სიცოცხლისუნარიანობის მაღალი დონის დამკვიდრებითა და შენარჩუნებით. უნივერსიტეტის ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა შიდა აუდიტის სამსახურის მიერ არის მხარდაჭერილი, რაც უზრუნველყოფს კანონიერ და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულებას. კორპორატიული ფინანსური ვალდებულებების ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ უნივერსიტეტს გააჩნია მტკიცე და მდგრადი მატერიალური და ფინანსური ბაზა, როგორც მიმდინარე, ასევე გრძელვადიანი დაგეგმვისთვის.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სსუ ეკონომიკური თვალსაზრისით, ეფექტიანია რესურსების პროდუქტიულად გამოყენებაში, მოკლე და გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად. ინსტიტუცია მუდმივად ახორციელებს ფინანსების მონიტორინგს და აქტიურად ეძებს დაფინანსების ალტერნატიულ გზებს. სწავლის საფასური და სხვა შემოსავლები განიხილება, როგორც მაღალი რისკის შემცველი (როგორც აღნიშნულია ბიზნესის უწყვეტობის გეგმაში), თუმცა იდენტიფიცირებული რისკები ფინანსური უზრუნველყოფის დეპარტამენტისა და მასთან დაკავშირებული შიდა სტრუქტურების შესაძლებლობებშია, როგორც მიმდინარე, ასევე სამომავლო დაგეგმვის პროცესში.

ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა კანცელარიის, ადამიანური რესურსებისა და იურიდიული სამსახურის უფროსი თანამშრომლების მაღალი პროფესიონალიზმი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:
რეკომენდაციები რეკომენდებულია სსუმ დანიშნოს გარე ფინანსური აუდიტორი.
რჩევები: სასურველია, სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის გეგმების გათვალისწინებით, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გააორმაგოს ძალისხმევა დაფინანსების მოსაძიებლად.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან